

3-47

საბავშვო საზოგადოებრივი სამუშაო



1928

სახეცობაში

№ 24

329-153 (05)

კ-47-

მუშათა კლასის სამხისამთხმის იმამ მუხამი



პიონერი


1928

30 დეკემბერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრს) და განათლების სახალხო კომისარიატის სპეციალური აღზრდის მთავარმართველდების ყურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი III

№ 24



პიონერები კულტურულ ლაშქრობაზე ასწავლიან წერა-კითხვის უცოდინარებს

ბრძოლა უმჯობესის და სიბნელის წინააღმდეგ.

ძველ დროს, მეფის დროს, სკოლები და მთელი მოსახლეობა დიდი ენტუზიაზმით ემზადებოდნენ „შობის“ დღესასწაულისათვის. მთელი მოსახლეობა და განსაკუთრებით გიმნაზიელი ვაჟები და ქალები ხარობდნენ, დარბოდნენ და აწყობდნენ ამ დღისათვის საღამოებს და იწვევდნენ ბალ-მასკარადებზე მალალი წოდების ხალხს. ბალებზე გიმნაზიელი ქალები და ვაჟები ისმენდნენ „პოპეჩიტელების“ სხვადასხვა სიტყვებს, ცეკვავდნენ ვალსს, ამბობდნენ ლექსებს და ხოტბას ასხავდნენ „სამშობლოს და ხელმწიფეს“. ეს ყველაფერი ხდებოდა იმ სკოლებში, სადაც მოკალათებული იყვნენ თავად-ზნაურების შვილები. სოფლებში კი ამ დროს სოფლის ბავშვები და მუშათა რაიონებში მუშის ბავშვები დადიოდნენ სახლებში, ცეკვავდნენ, ადიხებდნენ „იესო ქრისტეს“ და ამისათვის იღებდნენ თითბერის ხურდა ფულს. ოჯახებში კი უფროსები სვამდნენ ღვინოს, ხარჯავდნენ ამ დღისათვის უკანასკნელ გროშებს ღვინოში, თვრებოდნენ უგრძობლად და შედეგ ცხვირს ბუკივით გაუხდიდნენ ერთმანეთს. ყოველივე ამას თავს დაეღარუნებდა ზარების გამუდმებული რეკა.

ეკლესიებში მღვდლები და დიაკვნები ადიდებდნენ „ქრისტეს“. დადიოდნენ სახლებში, ასრულებდნენ ეკლესიის წესებს და ლოცვებს, იღებდნენ გასამრჯელოს (რასაკვირველია, ამისათვის) გლეხებისაგან და მუშებისაგან და ყველაფერს, რაც კი მათ გააჩნდათ. ჰყრიდნენ ფურგუნებში, ხურჯინში და მიჰქონდათ შინ.

ჩვენ დროში საბჭოთა სკოლებში, პიონერკოლექტივებში და მუშურ-გლეხურ ოჯახებში სულ სხვაგვარად ატარებენ არდადეგებს და ეგებებიან ახალწელს.

მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით ამ გამქრალა უმეცრება და სიბნელე. ჯერ კიდევ მოსახლეობის ზოგიერთ ფენაში არსებობს ძველი შეხედულება და სწამთ „ქრისტეს შობა“.

აი სულ მალე ახლოვდება 25 დეკემბერი. ამ დღეს წარსულ წელსავით ერთი აყალმაყალი, ჩხები და გინება შეიქნება ქუჩებში.

რას ვიზამთ ამ დროს ჩვენ, პიონერები? განა გულხელდაკრფით შევხედავთ და არ გავუწევთ წინააღმდეგობას ასეთ საქციელს და მღვდლების მიერ ხალხის მოტყუებას? ჩვენ, პიონერებმა, ყოველგვარი კავშირი გავწყვიტეთ არაარსებულ ღმერთებთან, საეკლესიო ლეგენდებთან და აგრეთვე მღვდლებთან. ჩვენ გვეჯერა მხოლოდ მეცნიერების, სირცხვილი და

დიდი დანაშაული იქნება იმ პიონერისათვის, ვინც კი მიიღებს მონაწილეობას ამ დღესასწაულში და რელიგიურ ჩვეულებებს დაუქერს მხარს. ის პიონერი, რომელიც ამს ჩაიდენს, არ იქნება ჩვენი პიონერორგანიზაციის ღირსი და ამით ზიანს მიაყენებს საბჭოთა წყობილებას. ჩვენი ამოცანაა არა მონაწილეობის მიღება დღესასწაულში, არამედ ბრძოლა „ქრისტეს შობის“ წინააღმდეგ და უნდა მივიღოთ ზომები, რომ ბავშვები ჩამოეცილოთ რელიგიურ ჩვეულებებს. მასწავლებლებთან და კომკავშირელებთან ერთად ჩვენ უნდა მოვაწყოთ ჩვენი საღამოები, დაურახმელო, დაუორგანიზებელ ბავშვებთან ერთად უნდა წავიდეთ კლუბებში, კინოებში, ქობ-სამკითხველოში, უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა რელიგიურ ჩვეულებებს, საღამოებზე უნდა გავაცნოთ საბჭოთა კავშირის ბავშვებს ჩვენი მიღწევები.

როდესაც გათავადება „ქრ-სტეს შობის“ დღესასწაული, პიონერებმა უნდა მიაწოდონ პრესას წერილები რელიგიის და „ქრისტეს შობის“ წინააღმდეგ. და ეს უნდა ხდებოდეს არა მარტო დღესასწაულთან და დღესასწაულამდე, არამედ ყოველთვის. პიონერებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, უნდა ჩაატარონ ანტი-რელიგიური კამპანია იმდგვარად, რომ პიონერებიდან აღიზარდონ ისეთი ძლიერი და მტკიცე ამხანაგები, ძლიერი თავის მეცნიერული ცოდნით, რომლებიც თავს მეხივით დაეცემიან რელიგიას.

დღე, მღვდლებმა და, საერთოდ, რელიგიის მსახურებმა იმდერონ ძველებურად. დღე, ხმაჩაწყვეტილი ზარები ისევ ეღარუნობდეს ზარნაშოსავით, დღე, მღვდლებმა, ამ სიბნელის მოციქულებმა, ისევ იმდერონ თავისი ლოცვები—ჩვენ ეს ვერ შეგვაშინებს, პიონერებიდან იზრდებიან ათეული ათასი ახალი ადამიანები, ჩვენს რიგებში ჩაებაამთ საბჭოთა ბავშვებს, რომლებიც მიიღებენ მეცნიერულ ცოდნას და წინააღმდეგობას გაუწევენ ყოველგვარ სიბნელეს და უვიცობას. რელიგიასთან ბრძოლაში, ღრმად დარწმუნებული ვართ, ჩვენ გავიმარჯვებთ.

პიონერებო, იბრძოლეთ რელიგიის წინააღმდეგ, რომელიც ოპიუმია, ბანგია, ე. ი. გამაბრუებელი სუფთალება, მშრომელი ხალხისთვის.

ასტაშევა.



ბუღარი ბიჭები

მოთხრობა*)

IV

ნადარცვით კმაყოფილი ავაზაკები თავქვე დაადგენ გზას. ძროხა წინ გაირეკეს. ვასაოცრად ჩქარობდნენ. ისინი უბელო ცხენებზე შემსხდარიყვენ და ისე მისდევდნენ ნადავლს.

— თოვლზე კვალი ემჩნევა! — წასიურჩულა ერთმა ავაზაკმა მეორეს.

— არაფერია! საზღვარს უთენებლივ გადავაცილებთ, შემდეგ-კი ჩვენი მდევნელი არავინ არის!. რბენით მიმავალი საქონელი ვიწრო გასავალში ერთმანეთს მიაწყდა.

— დიდოოო, ჰამოოო! — ხმა მისცეს ყაჩაღებმა და მათარახებით წამოურბინეს საქონელს. დაფეთიანებულმა პირუტყვებმა ერთმანეთი გაქელეს. ერთბაშად რაღაც აშხუილდა ჰაერში. მას გახშირებული შხუილი და ბაგი-ბუგი მოჰყვა.

— ოხ! — დაიღრიალა ყაჩაღთა ბელადმა და ხელგებავილი თოვლში გადავარდა. იმავე წუთს უცნაური სხეული გამოვარდა გადათეთრებული ბუჩქიდან და უპატრონო ცხენს მოახტა. ბელაური შეფრთხა და ყალბზე შესდგა. შხუალი ისევ ისმოდა ჰაერში და ავაზაკების ბეჭეაზე ბაგი-ბუგი გაჰქონდა. იმავე წუთს გამოვარდა მეორე საკვირველი სხეული შემადრწუნებელი წივილ-კივილით და ქვების სროლით. მძარცველები ერთხანს შეკრთნენ და ენა დაებათ.

— ვაიმე, ალქაჯები! თავს უშველეთ! — არაადამიანური ხმით დაიღრიალა ერთმა ავაზაკმა და ცხენიდან გადმოხტარი ფეხდაფეხ ფერდობზე ავარდა, თავქვე დაეშვა. დანარჩენებიც თავრეტდასხმულნი მას გაჰყვედნენ ანგარიშმიუცემლად. უცნაური სხეულები კი კვლავ თავზარდამცემი ხმით წიოდნენ და ავაზაკებს მისდევდნენ ცხენდაცხენ. გონებდაბნეული ვაჟაკები პატარების გაუგონარმა სიგმირემ სულით დასცა. დამფრთხალმა საქონელმა პირი იბრუნა და უკან, ფარებს მიაშურა. ყაჩაღთა ბელადი-კი კვლავ უსულოდ ეგდო თოვლში.

— ეყოფათ, ლადო, ეყოფათ! — დაიძახა ვასომ და ცხენიდან ძირს გადმოხტა.

— ხა,ხა,ხა! — გაღიხარხარა გულადმა ბავშვმა, — ნახე, რა მოხდა!?

— ეს კარგი დავლაა, მაგრამ რა ვუყოთ!? — იკითხა ვასომ გულწასულ ბელადზე.

— იცი რა, ამას ხელ-ფეხი შეეუკრათ, ვიდრე უგონოდ არის. ერთ-ერთი გავიქცეთ ბინაზე და ეს ამბავი შევატყობინოთ.

— ეგრე ვუყოთ, ეგრე! პატარებმა ქამრები შეიხსნეს. ყაჩაღს იარაღი აჰკარეს და ხელ-ფეხი შეეუკრეს. მას საფეთქლის მახლობლად სისხლი სდიოდა.

— ეხლა ცხენს მოახტი და გაიქციე, ძია მოიყვანე აქ! — ვასცა რიხით განკარგულება ლადომ და ხანჯალ-ამოღემული თავზე დაადგა გულწასულ ავაზაკს. უბელო ცხენმა პირშელმა გაქუსლა და თოვლის ნაფლეთები ჰაერში არია. ისევ თოვდა. ღამის ნოტიო სიომ ხმელი სიცოფე მოიტანა. ყაჩაღთა ბელადი გორის ძირში გულწასული ედგო; პატარა ბავში ხანჯალამოღებული თავს ადგა და ჰგუშავობდა.

V

ფარებსში მწყემსები გმინავდნენ. ღამესთან ერთად იდგა მწარე ვარამი და გამოუთქმელი სევდა.

— კაცო, ნეტავ ის ბალები (რა იქნენ!?) — ძლივს დაიკნავლა ბიძამ.

— რა ვიცი... სად წავიდნენ?... საკვირველია, ღმერთმანი!. — სთქვა მოხუცმა მწყემსმა.

— დავიღუპენით! საქონელიც წაასხეს და ბიჭებიც დაიკარგენ. რაღა პასუხი მივცე იმათ დედას?. — აქვითინდა ბიძა.

გარეთ ცხენმა დაიფრუტუნა. ძალები აყეფდნენ. ყველამ ყურები სცქვიტა.

— ძია, ჰაი ძია! აქ მო ჩქარა!..

ფარებსში მყოფნი ელდნაცემივით წამოხტნენ ფეხზე.

— ბიჭო, ეს ვასომ ხმა არის!

ბიძა კარში გავარდა.

— ძია, ყველანი წამოდით. მალე, რაც შეიძლება მალე!

— რას ამბობ, ბიჭო, ლადო სადღაა? — ძლივს იკითხა განცვიფრებულმა ბიძამ. ვასომ ყველაფერი მოკლედ უამბო და თან შიში გამოსთქვა, დაფანტული საქონელი არ დაიკარგოსო.

— თქვენი გამჩენის ჭირიმე, აჰა! — შეჰყვირა მოხუცმა მწყემსმა.

— წავიდეთ, მალე წავიდეთ! — ძლივს ლულულელებდა ბიძა და მამაც ბიჭს უკან დაედევნა. ყაჩაღთა ბელადი გონს მოსულიყო და კბილებით იწვედა ლადოს დასაფლეთად.

— ჩქარა გამიხსენ ხელები! — დაუყვირა მან ლადოს.

— გავიხსნა კი არა, თუ ჰკვიანად არ იქნები, ამ ხანჯალს ჩაგცემ გულში და მერე მშვიდობით... ხომ იცი: გაფრინდები!..

ამასობაში მწყემსები მოვიდნენ. ბიძა ტყვეს მიუბრუნდა და მრისხანედ განუცხადა:

— ხომ ხედავთ, არამი ლუკმა არ გერგებათ. რატომ თავს არ ანებებთ ავაზაკობას? ნახეთ, 13 წლის ბავშვებმა რა გიყვეს!

ყაჩაღი გაფითრებული ეგდო და სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდა. გატაცებული საქონელი შეაგროვეს. ფარეხში მირეკეს. ტყვე ხელ-ფეხშეკრული მიიყვანეს ბინაზე. როდესაც ცეცხლი დაანთეს და ყველანი დალაგდნენ, ბიძა ფეხზე წამოდგა და ამხანაგებს მიუბრუნდა:


— ძმებო! თქვენ იყავით მოწმენი: ფიცსა ვდებ, ეს ბაღლები სასწავლებელში აღვზარდო! ყოველმხრივ შემკულნი, ცოდნა ჩვენს უბრალო საქმეზე გაფუჭდნენ. ვინ იცის, ასეთი გულადი ბიჭები როგორ სჭირია წითელ

ოფიცრობას. რას იტყვით, შვილებო!? — შეეკითხა იგი პატარებს. ბავშვები მადლობის ნიშნად კისერზე ჩამოეკიდნენ ბიძას.

ერთი კვირის შემდეგ პოლიტ-სამართელომ დატყვევებული ყაჩაღის წყალობით მთელი ჯგუფი ჩაიგდო ხელში და მათი ავაზაკური საქმე სასამართლოს გადასცა გასარჩევად. ყოჩაღი ბიჭები მოწმეებად იყვნენ დაბარებული.

მთელს სოფელს უკვირდა ეს გაუგონარი ს. მამაცე, ბევრ ვაჟკაცს-კი გულწრფელად ჰშურდა პატარა გმირების სახელი.

ს. მთვარაძე.



ბიონერები ამზადებენ კედლის გაზეთის სათაურს



სენაკის ხეობა

მოთხრობა.

გათენდა დილა. მოწმენდილი ღრე იყო. მზემ ამოჰყო თავი შორეული მთებიდან და ათასფრად ააბრწყინა ღრმად დადებულ თოვლი. ციოდა. გივი და რეზო პატარა აღმართს შესდგომოდნენ. რადგან თოვლს გზა დაეფარა, გივი წინ მიდიოდა და გზას ჰკაფავდა რეზოსათვის. აიარეს აღმართი და ზევიდან დაჰყურებდნენ თავის სკოლას, რომელიც ორი ვერსის მანძილზე იყო მათგან დაცილებული. პატარა აღმართს მოჰყვებოდა დაღმართი და შემდეგ კი ვაკე, რომელზეც პატარა ღელე მიდიოდა და უხვევდა წამდაუწყუმ. ღელე აღარ ჩანდა, თოვლს დაეფარა, ხოლო ალაგ-ალაგ გაეთავისუფლებია თავი, და ცივი ანკარა წყალი თეთრ თოვლში შავი გველივით იკლანებოდა. გივიმ და რეზომ სიცილ-ხარხარით ჩაისრიალეს თავდაღმართი, კუნტრუშ-კუნტრუშით გაირბინეს ვაკე და მიუახლოვდნენ სასწავლებელს, სადაც აუარებელ ბავშვს მოეყარა თავი და უცდიდნენ ამხანაგებს. როცა ყველა მოგროვდა, გამოვიდნენ მასწავლებელნი, გააჩუმეს ბავშვები და შემდეგ ერთმა მასწავლებელმა ხმამალა სთქვა:

— „ღღეს, ბავშვებო, 25 დეკემბერია, შობაა და ამ დღესთან დაკავშირებით უნდა გაჩვენოთ წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც გლეხობის დადგენილებით უნდა გადაკეთდეს და შიგ მოეწყოს სამკითხველო. ამ ეკლესიაში, რომელსაც ღღესდღეობით მხოლოდ ორი პატარა ფანჯარა აქვს და რომელშიც მზე თითქმის არასოდეს არ შეიხედავს, მღვდლების თქმით, დიდი, მაგარი ქვებით დაფენილ იატაკში ამოსულა ხე, რომელსაც ჯვრის სახე მიუღია, და ეს ჯვარი ყოველწლიურად მატულობს. ჯვარი შემოსილია წითელი ხავერდით, რომელიც ბევრ გლეხს დაუკოცნია და შველა უთხოვია. წავიდეთ, ვნახოთ, რა ხეა, რა ჯვარი,—დაუმატა მასწავლებელმა და უთხრა ბავშვებს მწყობრად დაწყობილიყვენ.

ბავშვებს ძალიან აინტერესებდათ, თუ რას ნახავდნენ და მოუთმენლად ელოდნენ ეკლესიაში მისვლას. მალე მივიდნენ კიდეც და რადგან ყველას ერთად შესვლა არ შეიძლებოდა, მოწაფეები ჯგუფ-ჯგუფად დაიყვენ. ჯერ

ეკლესიაში შევიდა ერთი ჯგუფი. მასწავლებელი შიუახლოვდა ჯვარს, ნელ-ნელა შემოაცალა მაგრად შემოკრული წითელი ხავერდი და მოსწავლეებმა დაინახეს რამდენიმე უწნოდ გათლილი და სიძველისაგან დამპალი ფიცარი, რომლებიც უხეიროდ მიეჭედებიათ ერთიერთმანეთზე და მიეცათ ჯვრის სახე, ხოლო კოხტად და ოსტატურად ჩამეაგრებიათ იატაკის ქვეშ. ამ სურათის დანახვაზე შეიქნა სიცილ-ხარხარი მასწავლებელმაც ჩაიციხა და შემდეგ კი განმარტა:

— აი რა უსინდისობას სჩადიოდნენ მღვდლები, როგორ ატყუებდნენ უსწავლელ ხალხს და თვითონ კი უშრომოდ მუდამ მაძღრები იყვნენ. როგორც იცით, მცენარისათვის სითბო(მზე)და წყალი ისეა საჭირო, როგორც ადამიანისათვის. როგორ შეიძლება, რომ ამ პატარა ეკლესიაში, რომელშიც მზე არ შემოიხედავს, მცენარეს გაეხარებია, ან როგორ უნდა ამოსვლოდა მიწიდან მცენარე ამ უზარმაზარ ქვებს, როგორ უნდა ეარსებნა მას უწყლოდ. ჩვენ კარგად ვიცოდით, რა ოინბაზობასაც ჩადიოდნენ მღვდლები. ვიცოდით, რომ ყოველწლიურად ჯვარს ხის პატარა ნაჭრები ემატებოდა, ვითომ იზრდებო, მაგრამ თუ რამეს ვიტყოდით, ძველი მთავრობა ციხეში ამოგვალბობდა და ჩუმად კი ვასწავლიდით და ვარიგებდით ხალხს.

ასევე განუმარტა მასწავლებელმა მოწაფეების დანარჩენ ჯგუფებსაც.

მალე ბავშვები უკანვე დაბრუნდნენ და გზაში ერთხმად გაიძახოდნენ: „ზიზლი მღვდლებს, ზიზლი ხალხის მყვლეფელო, გაუმარჯოს ბუნებას, გაუმარჯოს მის კანონებს, ძირს უსწავლელობა, გაუნათლებლობა, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს“.

უკვე ბინდებოდა, როდესაც გივი და რეზო შინ დაბრუნდნენ გივისათვის ნახული ამბავი ახალი არ იყო, რადგან მან წინასწარვე იცოდა ყველაფერი.




მე-8—კოლექტივის პიონერების მუსიკალური წრე რეპეტიციაზე.

გაგის კვალზე.

საყვირის ხმები
გაისმის დილით,
და შრომის შეილება
უხმობს ქარხანა,
და იმის ხმებზე
ჩუმი დილინით
მიდის ქარხნისკენ
სახლიდან მამა.
მე კი მოწყენით
გავყურებ სარკმელს
და თან შეხვევა
ფიქრები მწველი.
ცამეტი წლის ვარ...
ორიც...

და უკვე
შემისრულდება
თხუთმეტი წელი.
ო, ჩქარა,
ჩქარა გავიდეს ბარემ:
მეც ქარხანაში
მივებარები,
და მანქანების
ბორბლები
ჩემს წინ
იგუგუნებენ,
როგორც ქარები.

მეც მამასავით
გაფხდები მუშა,
საყვირის ხმაზე
ავდგები ხელათ
და დღედაღამე
ვიშრომებ მუდამ,
სახლში და გარეთ
დაუზარელად.
მოვალ ქარხნიდან
ლურჯი ხალათით.
მომეგებება
დედა კიბიდან,
შემოვალ სახლში
და მამასავით
მეც ამოვიღებ
გაზეთს ჯიბიდან.
მამასთან ერთად
წავალ თათბირზე,
როცა იქნება
მუშათა კრება,
და რკინის ლავამს
ამოვლებ პირზე,
ვინაც კომუნას დაემუქრება.



მამაშენი

მოთხრობა.

1.

სოფლის განაპირას ერთ პატარა ფიცრულ სახლში ცხოვრობდა ვანო თავისი დედით. სახლის მარჯვენა მხარეს ჩამოდიოდა პატარა მდინარე, რომელზეც ვანო ხშირად თევზაობდა. დედა უშლიდა ვანოს ამ საქციელს, რადგან ეშინოდა ის წყალს არ გამოეტაცა ხელიდან. ვანო კი თავისას არ იშლიდა, გაეპარებოდა დედას სათევზაოდ.

ერთ დღიას ვანო აღრე ადგა და ჩვეულპრივ გამართა ანკესები, ჭიაც ბევრი მოაგროვა და საჩქაროდ გაუდგა გზას. როდესაც შივიდა მდინარესთან, დაინახა, რომ მისი სათევზაო ადგილი იმ დღისთვის სხვას დაეკავებია. ვანოს ეს ეწყინა, შეამჩნია, რომ დაბლობისაკენ კოლა ანკესებს აგებდა. ის მიხვდა, რომ მისი ადგილი კოლას დაეკავებია, მაგრამ მინც მხიარულად მიესალმა, რადგან მას არ უყვარდა ამხანაგის გაჯავრება.

ვანომ აუარა გვერდი კოლას ანკესებს და მეორე ადგილას რამდენიმე ანკესი ჩაკიდა; შემდეგ დაუძახა კოლას, იქვე ხის ძირს ჩრდილში დასხდენ და დაიწყეს ბაასი.

— ვანო, იცი, რა გითხრა, მამამ ქალაქში შეშა წაიღო ვასაყიდად და მითხრა, ახალი ჩუსტებს ჩამოგიტანო.

მამის ხსენებაზე ვანო ჩაფიქრდა, გაიფიქრა, რატომ მეც არ მყავს მამა კოლასავითო, მაგრამ ეს ფიქრი კოლას არ შეამჩნევინა.

თევზაობიდან დაბრუნების შემდეგ ვანო შეეკითხა თავის დედას:

— დედა! მითხარი, მამა რატომ არა მყავს; ოდნავ ვიცი, თითქო სადღაც დაიკარგა, მაგრამ ასე უგზო-უკვლოდ სად უნდა დაკარგულიყო, რომ არსად ჩანს?

დედამ ნაღვლიანი თვალებით გადახედა ვანოს და უპასუხა:

— შეილო, მამაშენი მოაშორეს ამ ქვეყანას ჯალათებმა, ნიკოლოზის მთავრობამ. მამაშენთან ერთად იყო ჩვენი მეზობელი სანდრო, რომელიც შემთხვევით ვადარჩენილა. შენს მამიკოს, შეილო, კი უწყალოდ გაუგმირეს ტყვეით გული.

ამ სიტყვებზე დედამ ველარ მოითმინა და თვალებიდან ცრემლები გადმოცვივდა.

— მერე და რა დააშავა, დედილო, რომ არ შეიბრალებს ჩემი მამა?

— იმათთვის, შეილო, ყოველივე ჯალათური საქციელი ადვილი იყო.

დედამ აქ შესწყვიტა ლაპარაკი.

— წადი, შეილო, ვგონებ საქონელი მოვიდა, კარი გაუღე და დაამწყვდიე.

ვანომ შეამჩნია, რომ მამის ხსენებაზე დედამისი ცუდად ხდებოდა, თავი დაანება ლაპარაკს და წავიდა საქონლის დასამწყვდეად. მხოლოდ ფიქრობდა იმაზე, თუ ვისგან გაეგო დაწვრილებით მამის შესახებ, ვადასწყვიტა მისუთოიყო სანდროსთან და ამოგეითხა ყვეო ფიქრი.

2.

იმ სოფელში, სადაც ვანო ცხოვრობდა, ერთი ოთხწლიანი შრომის სკოლა იყო. ოთხწლედის მოწაფეები პიონერები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ვანოც ამ სკოლის მოწაფე იყო, ვერ მოახერხა პიონერთა რიგებში ჩაწერა, თუმცა დიდი სურვილი ჰქონდა. ძალიან ხშირად სკოლის ეზოში იმართებოდა პიონერთა ვარჯიშობანი, რასაც ვანო ძალიან გულდასმით უცქერდა. ის სწუხდა, რატომ მეც იმათთან ერთად არ ვვარჯიშობ და იმათსავით ფორმა არ მაცვიაო.

ერთ დღეს, როცა ვანო მიდიოდა სკოლის ეზოში, მას თვალწინ უდგა მამის დამღუპი ჯალათები, რომლებიც საქციელის გაგება სურდა დაწვრილებით სანდროსგან. სანდროს სახლი სკოლის შე-

ნობის წინ იდგა. ვანო ისეთ ადგილას მიეყრდნო სკოლის ეზოს ლობეს, საიდანაც დაინახავდა სანდროს. ვანო უტკბოდა პიონერების თამაშობას, მაგრამ ისე აღარ აინტერესებდა მათი თამაში, როგორც წინათ. ის ყოველ წუთს სანდროს სახლისაკენ იტკბებოდა, რომ სანდრო დაენახა და გამოეკითხა თავისი მამის თავგადასავალი. ამ ფიქრებმა გაიტაცა იგი.

სადილობის შემდეგ სანდრომ მოისურვა პიონერთა საქმიანობის დანახვა, მოვიდა და ლობეს მიეყრდნო; ამ დროს დაინახა ლობესთან აყუდებული ვანო.

— ვანო! — დაუძახა მან.

ვანო ჩიტვით შეფრთხილდა, გამოერკვა და გაიხედა იქეთკენ, საიდანაც ხმა მოესმა. სანდრომ ხელი დაუქნია, ჩემთან მოდიო. ვანოს გაეხარდა და აღფრთოვანებული გაექანა.

— რას შვრები, ვანო, როგორ ხარ, რამოდენა კაცი გამხდარხარ.

არა გრცხვენია, შორიდან რომ მიჩერებიხარ პიონერებს, მამაშენის შვილს ასეთი გულგრილობა შეშვენის მათდამი?

— ძია სანდრო, მამა არა მყავს, თქვენც კარგად იცით, და მაშ ვინ უნდა ჩამწეროს, რომ მეც იმათთან ერთად ვიყო?

სანდრო მიუხედა ბავშს, რომ მამის შესახებ სურდა ლაპარაკი, მოხვია ხელი და ჩაიყვანა ეზოში.

— მოდი, ვანო, აქ დაჯექ და მოგიყვები მამაშენის ამბავს, თუ როგორი მებრძოლი იყო ის.


სიხარულით აღფრთოვანებული ვანო უხმოდ მოუჯდა გვერდით.

— მე და მამაშენი გიორგი ქალაქში ერთ-ერთ მაულის ქარხანაში ვმუშაობდით პატარობიდანვე, ერთად ვიზრდებოდით, მაგრამ მე კი არ ვიცოდი, თუ გიორგი კომუნისტი იყო. მხოლოდ მაშინ გავიგე, როდესაც მისი გავლენით ჩაგები მათ ორგანიზაციაში და დავიწყე მასთან ერთად მუშაობა. ვანო, ხომ ხედავ იმ პატარა პიონერებს, როგორ თავისუფლად დანავარდობენ. სწორედ ამისათვის ვიბრძოდით, რომ გაგვეთავისუფლებია მშრომელი ხალხი, რომელთა შვილებიდან მოველით ხალხის ბედნიერებას. ამ ახალგაზრდობამ უნდა განავრცოს ჩვენი დაწყებული საქმე.

მამაშენი გიორგი თავდადებული იყო მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ და ამისათვის მან ტანჯვა-ვაება გამოიარა. მუშების ერთ-ერთ დემონსტრაციაზე მან პირველმა ააფრიალა წითელი დროშა და მოუწოდებდა მშრომელ ხალხს მტკიცედ დაე-

ცვა თავისი ინტერესები, ერთიანი პროლეტარული ძალით შებრძოლებოდა ძველ წყობილებას. მახსოვს, დაგვეხენ თავს შეიარაღებული ჯანდარმები და შეუბრალეზლად დაუწყეს უიარაღო ხალხს ხოცვა-ჟლეტა.

— მამას რა უყვეს, ძია სანდრო, ან იმ დროს რას აკეთებდა?



პიონერები თამაშობენ პინგ-პონგს

— გიორგი ცოცხლად ჩაივდეს ხელში და მოაშორეს ჩვენს რიგებს. ბევრი წვალეზა-წამების შემდეგ, როგორც გავიგეთ, დაუზერტიათ იმ ჯალათებს, მე კი მაშინ ათი წლის ციხე მომისაჯეს. ციხეში ხშირად მცემდენ, მაწვალებდენ, მზის სინათლის დანახვის ნებას არ მაძლევდენ, ბნელში ვიჯექი. ჩემთან ერთად ნესტიან, ბნელ და ვიწრო უფანჯრო საკანში მრავალი პოლიტიკური ტუსალი იყო. ამათ შორის უმეტესობა ჩემი ამხანაგები იყო. თითქმის ათი წელი დავყავი იქ და არცერთი დღე არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი გირვანქა პური მოეცათ. შიშშილ-სიცრვით ვიხოცებოდით, მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ დამიხსნა ამ უბედურებისაგან. გავვათავისუფლეს ტუსალები, და მეც ნახევარი წლის კატორლა გამიუქმდა.

მართალია, ბიჭუნი, ამ ამბოხებებში ბევრი აქტიური ამხანაგი დავველუბა, მაგრამ ჩვენი მიზანი მაინც ბოლოს გავიტანეთ და დავამყარეთ პროლეტარიატის დიქტატურა.

ვანო ზეზე წამოიქრა და მიმართა სანდროს: — რა კარგია, ძია, რომ მომიყვე! ამიერიდან იმ პიონერებთან ერთად მეც ვიქნები, რომლებთან ყოფნის სურვილი დიდი ხანია მქონდა.

— ასე, ჩემო ვანო, იმედი მაქვს, რომ პიონერთა ორგანიზაციაში შენც აქტიური იქნები და არ შეარცხვენ მამაშენს.



ბაბუას ნაამბობი

მოთხრობა*)

— აბა, ქოფაკო, რას იტყვი ეხლა შენი შეილის შესახებ? — მომვარდა ღრიალით ჯიჯავაძე და მათრახი მწარედ გადმოძკრა სახეზე. ბიჭუნებო, აი ეს თეთრი თმა-წვერი მაშინ შეიღებდა სისხლით და მეც თვალთ დამიბნელდა, მუხლები მომეკვთა; გონება დავკარგე. ვგრძნობდი მხოლოდ, რომ მათრახებს ისევ მცემდნენ და ვილაცა აგრეთვე კიდევ ფეხებითაც მჯიჯვნიდა. მაგრამ როცა ჩამწვდა ყურში დედაშენის ცივი შემადრწუნებელი კივილი, აი რა დავინახე: დედაშენს ერთი ვილაც თმა-წვერგაბუძეული თოფიანი ებრძოდა აი იმ ბნელ კუთხეში. შენ კი ძირს, აი იმ ადგილას — გაიშვირა ბაბუამ ხელი ქათმების ბუდეებისაკენ — ეგდე და საცოდავად ჭყიპინებდი. მოვიკრიფე ძალ-ღონე, მიხდოდა მივშველებოდი დედაშენს, ეგრე გააფთრებით რომ ებრძოდა გვარდიელს, მაგრამ ვილაცამ კიდევ მაგრად დამკრა რალაც თავში და მეც სავსებით გრძნობადაკარგული მიწაზე დავემხე. დიდხანს ვეგდე ასე. გონს რომ მოვედი, ღამე იყო. სოფლიდან ისევ გაისმოდა წვილ-კივილი, ჟრიაშული, აურზაური. წაფეფორთხილი ძლივს-ძლივობით ფეხზე. თავპირი მთლად დასიებული მქონდა. ავანთე ჭრაქი და რა დავინახე?! შენ აი იმ ბუდეებთან იყავი მიგდებული. ხმა დაგკარგოდა. ეს, ალბათ, ბევრი ტირილის გამო. გულატირებულმა ავიყვანე ხელში და მიგაწვინე ლოგინზე. შენ კი ამის საპასუხოდ ისევ დაიწყე ჭყიპინი, თან ხელებს მიშვერდი, თან ტუჩებს აცმაცურებდი. გეტყობოდა, მოგშიებოდა და ძუძუს ითხოვდი. დედაშენიც, როცა გაიგონა შენი ჭყიპინი, მოვარდა შენთან. ჩაგიკრა გულში და დაიწყო გულის ამღვრევი ტირილი, თან ძუძუს გაწოვებდა.

ღამე ზარბაზნების გრიალი ისევ გაისმოდა შორიდან: ეტყობოდა, მტერი კვალდაკვალ მისდევდა ჩვენს დამარცხებულ რაზმს და ეხლა ტყეს უშენდა ზარბაზნებს. ბოლოს ეს ზარბაზნების გრიალიც მიწყდა, და ქოხში სიჩუმე ჩამოვარდა.

მეორე დღეს ცხელი და მზიანი დღე დადგა. მთელი ღამის უძილობით დაღლილი და დაქანცული ვეგდე აი, ამ ქოხის ლაფარეში და მზეზე ვითბოდი ჩემს დამზრალ და ბებერ ძელებს. თან კვფიქრობდი: რა მოხდა წუხელის, რა დაემართა თედოს და მის რაზმს?

დედაშენი კრიკაშეკრული ეგდო აი იმ ლოგინზე და ხმას არ იღებდა. არც ჭამდა არაფერს, არც სვამდა. შენ კი მუდამ ჭყიპინობდი. დედაშენი, ლოგინზე პირაღმა მიწოლილი, არც ფიქრობდა განძრევის, რამდენი არ ვიჩი-

ჩინე, ვევედრე: ამდგარიყო, ექამა რაიმე, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა, მხოლოდ როცა მოვავიგონე, ბავშვს ჰშია მეთქი, წამოიჭრა ზეზე.

უცებ ქუჩაში დაიწყო ხალხმა დენა. გაისმა ხმები: „მოყავთ, მოყავთო“. მე ძლივს ავიტანე წელი, გაჭირვებით მივლასლასდი ჭისკართან და რა დავინახე: ჩემი თედო და მასთან ერთად თხუტმეტიოდე სხვა მისი ამხანაგი ხელებშეკრულნი გამოვედოთ წინ გვარდიელებს და მოერეკებოდნენ. თვალები ამიცრემლდა... გული ამიტირდა... მთელი ტანით აცახცახებული უღონოდ დავეშვი იქვე ალაგესთან. ამ დროს ჩამოიარა ერთმა თოფიანმა, რომელიც უხეშად და ხეპრულად უძახოდა მეზობლებს:

— აბა, ჩქარა წამოდი, კრებაა დანიშნული. გლეხებიც თავჩაქინდრულნი, ნელა და მღუმარედ მიეშურებოდნენ სოფლის სამართველოსკენ.

რა უნდა მექნა? მეც ხომ უნდა წავსულიყავი იქ? ჩემი თედოს ბედიც ხომ იქ უნდა გადაწყვეტილიყო?

და ამიტომ უკან მოუხედავად, ყავარჯენზე დაყრდნობილი წავლასლასდი იქეთ, სადაც ხალხს მიერეკებოდნენ. სოფლის სამართველოს ეზოში მოეყარა ხალხს თავი.

აივანზე გადმომდგარიყვენ სამართველოს თავმჯდომარე მეშენიკი კილაძე, ჯიჯავაძე და რამდენიმე შეიარაღებული გვარდიელი.

ამ დროს ხალხში ატყდა ჩიჩქოლი, ხმაური და თან მკაფიო დაძახილიც — „მოყავთო“. და, მართლაც, თოფიანმა გვარდიელებმა ეზოში შემოიყვანეს და სამართველოს წინ ჩამწყკრივეს ხელებშეკრულნი ჩემი თედო და მისი ამხანაგები.

ამ სურათის დანახვაზე თვალთ დამიბნელდა, მუხლები ამიკანკალდა და უღონოდ იქვე ღობის ძირში მივეგდე.

არ ვიცი, შემდეგ რა მოხდა, რა ილაპარაკეს ან ამ კრებას რა უთხრეს, მაგრამ ეს კია, რომ როცა მუხლებზე წამოვფორთხიდი და გავიხედე ტყვეებისკენ, დავინახე, რომ ჩემი შვილი თედო და მისი რამდენიმე ამხანაგი სადღაც მიყავდათ.

ლასლასით გამოვედევნე მათ უკან. თედომ ალბათ ხმაზე მიცნო და მოიხედა... შედგა ერთი წამით. ოხ, რა ტანჯვა და ვაება იხატებოდა მის თვალებში, რა საშინელება! მხოლოდ ეს მოასწრო საბრალოდ დაეძახა:

*) დასაწყისი იხ. „პიონირი“-ს № 23.

— მშვიდობით, მამიკო, მშვიდობით. მოუარეთ ბი-
ქიკოს, ალზარდეთ, გამოიყვანეთ კაცად, რომ სამაგიერო
გადაუხადოს ამ ჯალათებს.

უკანასკნელი სიტყვები თედოს გვარდიელმა თოფის
კონდახის ცემით შეაწყვეტინა და ისიც იძულებული შეიქნა
კბილების ღრქილით გაეყოლოდა მათ უკან.

შემდეგ გავიდა რამდენიმე წუთი და ვხედავდი მე და
აგრეთვე მთელი სოფელიც, თუ როგორ დარაზმეს ისინი
მდინარე წაფას ნაპირზე და როგორ დაუწყეს სრო-
ლა. ირგვლივ ტირილი და ქალების წივილ-კივილი ის-
მოდა. მაგრამ ჯალათები არ ერიდებოდნენ ამათ და,
ალბათ, როგორც გადაეწყვიტათ, ჩვენს თვალწინ გვი-
ხვრეტდნენ ჩვენს სისხლს და ხორცს. მე ჩირგვებში ვიყავ
შემძვრალი და გაფითრებული ვადევნებდი თვალყურს,
თუ როგორ ეცემოდნენ მებრძოლნი ტყვიით განგმი-
რულნი.

მეტს არ გავაგრძელებ, ბიჭუნებო, ამბავს, არა...
დავილაღე. იმ ღამეს თუ რა დამემართებოდა, ამას, ალ-
ბათ, თქვენც კი წარმოიდგენთ. არც ისეთი პატარები
ხართ. აბა, ტყვილა ხომ არა ხართ პიონერები. მხოლოდ
გეტყვით, ბევრი უბედურება გადამხდა თავზე, ბევრი, მაგ-
რამ იმედი მაინც არ დამიკარგავს, ოჯახი მაინც არ და-
მილუპავს. ჩემს უმცროს ბიჭს გოგვას, რომელიც იმ უბე-
დურების დროს შეორე სოფელში მოჯამაგირებოდა, ქა-
ლი შევრთე და ეხლა თქვენც კი ხედავთ, თუ ოჯახი რო-
გორ წამოვყაყენე ისევ ფეხზე. ეხლა ისევ კმაყოფილი ვარ
ბედის. მართალია, თედო დაიღუპა, მაგრამ მისმა აზრებ-
მა მაინც გაიმარჯვა. დღეს ჩვენ, მშრომელი ხალხი, ჩვენი-
ვე თავის ბატონ-პატრონი ვართ. ჯიჯავაძე და მისი მა-
შინდელი მემუნიკური მთავრობა სადღაც ცხრა წყლისა
და ცხრა მთის იქეთ ევროპაშია გადაყრილი და ვერც
ვერასდროს ელირსებ ან აქ ჩამოსვლას. ამიტომ, ბიჭუ-



პიონერები აწვადებენ კედლის გაზეთს

ვიგლეჯდი თმას, წვერებს და საკუთარი ფრჩხილე-
ბით ვისისხლიანებდი სახეს. არ ვიცი, სანამდე ვიყავ
ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ როცა მოვედი გონს, დავი-
ნახე, რომ გვარდიელები სადღაც წასულიყვნენ და ბუჩქნარ-
საც ღამე გადაფარებოდა. აქა-იქ ძაღლები თუ უშო-
დნენ საცოდავად და ისმობდა რომელიმე ქალის ან დედა-
ბრის წივილ-კივილი და მწარე მოთქმა. ცოცხალ-მკვდა-
რი მიეფორთხდი შინ.

შემოვალე კარი, მაგრამ სად არის სიცოცხლის ნი-
შანი-წყალი? სად არის? მხოლოდ ერთი იყავ, ჩემო ბიჭუ-
ნა, კუთხეში საცოდავად მიკრუნჩხული და საბრალოდ
ჭყიბინობდი. შენ თავზე დადგომოდა ჩვენი მეზობელი
ბებერი მაია და რაღაც ჩრებში გფუთნავდა. შემომტირა.

— უბედურება უბედურებაზეა, უბედურება. — და
ტირილით, კნავილით, ჩხივლით ამიხსნა კეთილმა მაიამ,
თუ როგორ ვერ აეტანა საბრალო დედაშენს, ჩემო ბიჭუ-
ნა, მამაშენის სიკვდილის ამბავი და როგორ გადავარ-
დნილიყო მდინარე წაფაში.

ნებო, როცა თქვენ გაიზრდებით, გახსოვდეთ ჩემი შვი-
ლი თედო და მისი აზრები და მოკვდით, დაიხოცენით,
მაგრამ ნუ უღალატებთ მათ, იბრძოლეთ ამ აზრების სა-
ბოლოოდ და სამუდამოდ გასამარჯვებლად. ჩემო ბიჭუნე-
ბო, რა კარგები ხართ, კარგები, და მე კიდევ რა ბედნი-
ერი ვარ, თქვენი ბაბუა, — დააბოლოვა ბაბუამ თავისი
მოთხრობა და დადუმდა.

ისევ აბოლოა მან ყალიონი და ისევ დაიწყო პურ-
ჭყება, გარეთ კი ქარი ქროდა, ზუზუნებდა და თოვლის ნამ-
ქერს თანტავდა აქეთ-იქეთ ცივ, გაყინულ სივრცეში. ხან
კი მოაწყდებოდა კარებს, თითქოს ითხოვდა შიგ შემო-
სვლას, მაგრამ კერაზე მხაართული ცეცხლის ტაკა-
ნი მას ისევ უკან აქნევინებდა პირს და ამწარიად ქონში
ისევ სუფევდა მწუხარე, ნაღვლიანი მოგონება ბაბუასი და
ჩვენი ბავშვების ხან ჩუმი და ხან აშკარა ამოოხვრანი
მოთხრობილი ამბის გამო.



პიონერ-ორგანიზაციები საბჭოების გადარჩევაში.

საბჭოების გადარჩევის კამპანია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მეტად მსხვილი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენაა და ამიტომ ყოველად წარმოუდგენილია, რომ მასში მონაწილეობას არ იღებდეს ისეთი ორგანიზაცია, როგორცაა ჩვენი პიონერ-ორგანიზაცია.

პარტია და ხელისუფლება ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რომ საბჭოების გადარჩევაში მონაწილეობა მიაღებინონ მშრომელი მოსახლეობის ფართო მასას.

პიონერ-ორგანიზაციების ამოცანა კი ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ მან არა თუ ფართო მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ გადარჩევაში, არამედ ფართო მონაწილეობა უნდა მიაღებინოს დანარჩენი ბავშვების მილიონიან მასას.

პიონერების ლოზუნგია: „მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად“. ამიტომ პიონერმა არ შეიძლება არ იცოდეს, რას ნიშნავს საბჭო, რა მუშაობას ეწევა ის და რით უნდა დაეხმაროს პიონერი მას.

ყოველმა პიონერმა უნდა იცოდეს, რომ მის მიერ მონაწილეობის მიღება საბჭოების გადარჩევაში არაა უბრალო საქმე, ეს მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა.

წარსული წლების მაგალითიდან ვიცით, თუ რა დიდი ნაყოფი გამოიღეს და რა როლი ითამაშეს პიონერ-ორგანიზაციებმა საბჭოების გადარჩევის სათანადოდ ჩატარებაში, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც კომუნისტური ძალები მცირეა. ასეთივე და კიდევ მეტი საქმე უნდა გაკეთდეს წელსაც. პიონერ-ორგანიზაციების მონაწილეობას საბჭოების გადარჩევის კამპანიაში ერთგვარი აღმზრდელი მნიშვნელობითი ხასიათის მნიშვნელობაც აქვს. ერთი მხრივ, ის არათუ მარტო ბრწყინვალე გაკვეთილებს აძლევს ბავშვებს ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობაში პრაქტიკული მონაწილეობის მიღებისათვის, არამედ ასწავლის მათ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში მონაწილეობის მიღებასაც.

მეორე მხრივ, ის ამით განსაკუთრებულ დანაშაულებას უწევს საბჭოების გადარჩევის საქმეში პარტიას და კომკავშირს.

პიონერი თავისებურ გავლენას ახდენს თავის მშობლებზე, ის აგიტაციას ეწევა შინ, რომ გადარჩევაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს ოჯახის ყველა სრულუფლებიანმა წევრმა.

მესამე - პიონერების ერთგული მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში და საბჭოების მუშაობაში, თავის მხრივ, აძლიერებს საბჭოების ყურადღებას და მზრუნველობას ბავშვებისადმი.

ბავშვების „ნაკაზი“ საბჭოებისადმი, ხშირად სუსტად დაწერილი, დიდ ინტერესს იწვევს და ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ ის დაწერილია ბავშვების მიერ და მასში სერიოზული მოთხოვნები წამოყენებული.

ბავშვების ფართო მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში პიონერების აქტივობას მიეწერება, ბავშვების რამდენად დიდი ნაწილიც ჩაებმება ამ საქმეში, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ პიონერ-ორგანიზაცია თავის ადგილზეა და მას ბავშვთა მასებში დიდი გავლენა აქვს. ასეთია პიონერების როლი საბჭოების გადარჩევაში, მაგრამ როგორ უნდა შეხედენ და რა უნდა გააკეთონ პიონერებმა წელს საბჭოების გადარჩევაში მონაწილეობის მისაღებად? რასაკვირველია, ის, რაც შარშან და სხვა დროს გაუკეთებიათ, მაგრამ ეს მუშაობა უფრო უნდა გააფართოონ და გააღრმავონ.

მაგრამ ამ ამოცანების განხორციელება არ შეიძლება წინასწარი მომზადების გარეშე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჭიროა მასიური კამპანიების ჩატარება ბავშვებს შორის, საჭიროა დოლით, საყვირით სიარული ეზოებში და რაც შეიძლება მრავალი ბავშვის შემოკრება და საბჭოების გადარჩევის მნიშვნელობაზე მათ შორის საუბრების ჩატარება.

გარდა ამისა, საჭიროა მისი გაშუქება კედლის გაზეთში, დიდრონი პლაკატების გამოკვრა ლოზუნგებით და სხვა, საჭიროა აგრეთვე სიმღერების, ინსცენირობის მომზადება. პიონერებმა უნდა იცოდნენ და აგიტაცია გასწიონ ყველგან, თუ როგორ, სად და რა დროს ჩატარდება საბჭოების გადარჩევა.

საბჭოების გადარჩევაში უკვე დაწყებულია ზოგიერთ ადგილას, ამიტომ პიონერ-ორგანიზაციები მომზადებული უნდა შეხედენ მას.

ყოველმა პიონერმა ამ მუშაობაში იმდენი უნდა გააკეთოს, რომ სხვა ამხანაგებთან ერთად თამამად სთქვას: „მუშათა კლასის საქმისათვის მუდამ მზად ვარ“.

სანი.

საქართველოს პიონერები

საბჭოთა კავშირს არ ჰყოფნის ლითონი. ჩვენში დღით-დღე იზრდება და წინ მიდის მრეწველობა, ინდუსტრიალიზაცია, ყოველთვე, ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი ლითონი სჭირდება ჩვენს სოციალისტურ მრეწველობას. შეიძლება ჩვენ ლითონის შიმშილიც კი განვიცადოთ. აუცილებლად საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, რომ როგორმე ვიშოვოთ საჭირო ლითონი.

სადაც კი გაიხედავ — წარმოებაში, შინ, ქუჩებში თუ რკინის გზებზე, — ყველგან ბლომად ჰყრია ლითონის ნივთები, ლითონის ნატეხები. თუ ჩვენ მოვედებით საამქროებს, ქარხნის ეზოებს, საცხოვრებელ ბინებს, სარდაფებს და სახლის თავებს, თუ მოვძებნით იქ ლითონის უვარგის ნივთებს, მანქანებს და მივიღებთ ზომებს, რომ ყოველგვ ეს მოხვდეს მარტენის ლუმელეებში, სადაც ამ ლითონს გადაადნობენ, — მაშინ საბჭოთა კავშირის ქარხანა-ფაბრიკებს ექნება „შავი პური“, ექნება საკმაო ლითონი.

მთელი დიკემბრის განმავლობაში საბჭოთა კავშირში ჩატარდება ლითონის უვარგისი ნივთების და ნამტვრევების შეგროვება, რომ „შავი პური“ მიეცით მრეწველობას. თითოეული ტონა (1000 კილო) ნამტვრევი ლითონი, მარტენის ლუმელეში გადამდნარი, ერთ ტონა მშვენიერ რკინას მოგვცემს.

სრულიად საკავშირო ა. ლ. კ. კ. ციკას ინიციატივით მთელი კავშირის კომკავშირობი და პიონერები ენერგიულად შეუდგნენ ლითონის ნამტვრევების შეგროვებას. ამიერკავკასიამ უნდა მოგვეცეს 77.000 ტონა შავი და 200 ტონა ფერადი ლითონი. ამიერკავკასიის კომკავშირელებმა და პიონერებმა, განრიგების თანახმად, 500.000 ფუთი ნამტვრევი ლითონი უნდა შეაგროვონ.

ყველა პიონერ-რაზმში, ყველა სკოლაში ჩატარდა მოხსენიბანი ლითონის მრეწველობის მნიშვნელობის შესახებ, იმის შესახებ, რომ აუცილებელია ამ მრეწველობისათვის ლითონის მიწოდება. წინამძღოლებმა აუხსნეს პიონერებს, რომ იმათ ყველა ქუჩაში, ყველა შესახვევში, თავისი რაიონის ყველა სახლში უნდა დაძებნონ ძველი თუჯი, რკინა, თიბერი.

სკოლები გულდასმით „გაჩხრიკეს“. ბავშვები ჩაძვრენ სარდაფებში, გამოათრიეს იქიდან ხრახნები, თუნუქი, ცოცხლად, ხალისიანად მუშაობდნენ, წკრიალებდა მათი სიმღერა და თანდათან იზრდებოდა ნამტვრევების გროვები. დაირაწკუნა ტელეფონმა:

— ცენტრალური! მომეცით „რუდმეტალტორგ“.

— „რუდმეტალტორგ“-ია? გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენელი ჩვენს პიონერ-რაზმში. 50 ფუთი ნამტვრევი მოვაგროვეთ.

აბარებდნენ თავის შეგროვილ ნამტვრევებს პიონერები. ბავშვები იყენებდნენ თავისუფალ დროს, დღეებს, კვირაობით იკრიბებოდნენ, შაბათობებს აწყობდნენ ნამტვრევების შესაგროვებლად.

ტფილისში არის „სტალინის სახელობის ორთქლმავალის სარემონტო ქარხანა“. ამ ქარხნის აუარებელ

სამქროში ყველგან ჰყრია ნამტვრევი ლითონი. და, ერთ-ერთ კვირადღეს კომკავშირელებთან ერთად მოვიდა ამ ქარხანაში რამდენიმე ასი მოწაფე და პიონერი.

— აბა, ბიჭებო, დღეს ზორბად უნდა ვიმუშაოთ რათაც გინდა დაგვიჯდეს, უნდა გავწმინდოთ ქარხანა უნდა მოვაცილოთ ეს ნამტვრევები, — გაიძახოდნენ პიონერები.

— ბიჭებო! პიონერებო, არ აურიოთ! ქანჩები — ერთ მხარეს, ქანჭიკები — მეორე მხარეს, თუჯი — ცალკე! — იძლეოდნენ განკარგულებებს „რუდმეტალტორგ“-ის წარმომადგენელი.

ქარხნის ფართობზე გაბნეული იყო რამდენიმე ათეული ვაგონი. აქეთკენ მიეშურებოდნენ ყველა საამქროდა და ჩეოებით, რონოდანებით, ხელით მოჭქონდათ ნამტვრევები ქარხანას ახალი იერი დაეტყო. ყველა გზა ყველა კუთხე ახალგაზრდებით იყო სავსე.

225 ტონა ნამტვრევი შეაგროვა ტფილისის ახალგაზრდობამ.

მეორე კვირას ნამტვრევები შეაგროვა ვანო სტურუას სახელობის მე-4 პიონერ-კოლექტივის ოცდაათმა პიონერმა.

უთენია მოიყარეს თავი თავისი კოლექტივის შენობის წინ, დაიყვენ რგოლებად და გაისმა:

— ბიჭებო! აბა, ყველა გავეშუროთ ნამტვრევების შესაგროვებლად.

მოედვენ ვაკეს ხრამს, დაიარეს ეზოები, სახლები, არსად არ დაუტოვებიათ არცერთი ნამტვრევი ლითონი. მოჭქონდათ თუნუქი, მოაგორებდნენ ნაპოვნ ბორბლებს.

— პიონერებო! ჩვენ „ცარიზმი“ ამოეთხარეთ! — დაიყვირა ერთმა და გამოაგორა უხარამზარი თუჯის ღერბი ორთავიანი არწივით.

უტბად მოცვივდნენ პიონერები ამ ღერბთან. რამდენიმე წამს შემდეგ მეორე ღერბიც ამოთხარეს. ორივე ღერბი, პიონერებისათვის უცნობი ემბლემის მქონე, შეურიეს დანარჩენ ნამტვრევებს. ნაშუადღევს 2 საათზე გამოირკვა მუშაობის შედეგი:

— პიონერებმა 100 ფუთზე მეტი ნამტვრევი შეაგროვეს.

ნამტვრევების შეგროვების ამ სრულიად საკავშირო კამპანიის დროს პიონერებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, როგორ გამოეხმაურებიან ხოლმე ისინი კომუნისტური პარტიის, კომკავშირის და საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებას. პიონერებმა დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ ისეთი ცოცხალი საქმის გაკეთება, ისეთი დავალების შესრულება, როგორცაა ნამტვრევების შეგროვება უხარამზარი საბჭოთა ქვეყნის მრეწველობისთვის, მათ დაამტკიცეს, რომ მომავალშიც მშრომელთა ხელისუფლებას შეუძლია ექნეს პიონერების მხრივ დახმარების აღმოჩენის იმედი, დაამტკიცეს, რომ თავისი ხელისუფლების მოწოდებაზე ყოველ წამს უპასუხებენ პიონერები:

— მუდამ, მუდამ მზად ვართ!

სახელოსანთა მრეწველობას.





ჩვენ ისევ დავპრუნდებით.

ერთი წლის წინ 11 დეკემბერს დაეცა კანტონის დიდი კომუნა, ათასობით დაიღუპნენ ჩინეთის პროლეტარიატის საუკეთესო მებრძოლი რევოლუციონერები. მამუთან და დედებთან ერთად დაიღუპნენ მუშების ბავშვები და პიონერები. კანტონის კომუნის ხსოვნა მუდამ ცოცხალი იქნება ჩინეთის და სხვა მშრობელი ხალხების ხსოვნაში. დაეცა კანტონის კომუნა, მაგრამ რევოლუციონური ბრძოლა იქ არ შეწყვეტილა. ჩინეთის მუშათა კლასი დღესაც სასტიკად იბრძვის, ციხეები სავსეა რევოლუციონერებით, ათასი და ათიათასი დაღუპული რევოლუციონერების ოჯახები შიმშილობენ.

ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობის ისტორიაში კანტონის კომუნა უდიდესი გამარჯვების ფაქტი იყო.

აი რას წერს ამის შესახებ ამ აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე ლიმინ-ჩაი:

წარსული წლის დეკემბრის დასაწყისში მე დამაბატიმრეს, როგორც კომუნისტი, კანტონში. სხვებთან ერთად მიმიყვანეს „ბანდიტების წინააღმდეგ მებრძოლი სამხედრო შტაბის“ უფროსთან, გამჩხრიკეს ბეჯითად, მაგრამ ვერაფერი მიპოვეს.

სამი დღის განმავლობაში ვიწეკი ცოვოთახში და ვფიქრობდი მომხდარი ამბების შესახებ. სიკვდილს, ალბათ, ვერ გადავრჩებოდი, რომ ჩემი მცველი ჯარისკაცი ნაცნობი არ გამომდგარიყო: მისი დახმარებით გავიქეცი სატუსალოდან. ეს იყო სამი დღის წინ კანტონის აჯანყებამდე. იმ დროს, როდესაც გათავისუფლდი, რევოლუციონური ჯარი უკვე ქალაქთან იყო მოახლოვებული, თვითონ ქალაქში კი დიდი მზადება იყო შეიარაღებული აჯანყებისათვის. შეიარაღებულ მუშებს უკვე მიტეხული ჰქონდათ ნიშანი. 10 დეკემბერს გაიცა ბრძანება გამოსულიყო ერთ ერთი რაზმი, რომელსაც უნდა აეღო ციხე, სადაც ათასობით იყვნენ ჩვენი ძმები. გავიდა ერთი საათი და მოხდა ის, რაც არასოდეს არ მომხდარა ჩინეთის ისტორიაში: ქვეყნის უზარმაზარი ნაწილის სათავეში მუშები მოექცნენ. ლომბარდების წინ უამრავი ხალხი იდგა, იქ უკან უბრუნებდნენ ლარიბებს თავის ნივთებს, მდიდრები სახლებში ჩაკეტილან, ვინც თამამია, გარეთ გამოსულა და კითხულობს ახალი მთავრობის დადგენილებებს.

მაგრამ ბრძოლა არ გათავებულა, მოწინააღმდეგის ჯარები მამინში იკრიბებიან. ისინი აწყობენ ექსპედიციებს, კრეისერები უმიზნებენ ქალაქს ზარბაზნებს, ვირთავებივით გარბიან ქალაქიდან უცხოელი ექსპლოატატორები, ვაჭრები, ფაბრიკანტები. ისინი ყველანი გარბიან მამინში, იქ, სადაც იკრიბება და ირახმება კონტრ-რევოლუტია.

რევოლუციონური გლეხების რაზმებს, რომლებიც ილტვიან ჩვენსკენ დასახმარებლად, ვზა გადაჭრილი აქვთ.

მთელ ქალაქში ისევ იწყება სროლა. დიდ მონაწილეობას იღებენ ამ ბრძოლაში პიონერები, ისინი ცოცხალ მუშაობას აწარმოებენ, ზვერავენ მტერს, მოაქვთ ცნობები, მხიარულად დადიან ქუჩებში. მაგრამ იაპონიის სამხედრო გემზე აკაკანდა ტყვიამფრქვევი. ორი ბავში უსულოდ ეცემა, ხელში წერილები უჭირავთ. ხანძარი უჩნდება სახლებს. ვიწრო ქუჩები ცეცხლის ალშია გახვეული. ცეცხლში და კვამლში გრძელდება ბრძოლა.

მოედანზე დიდი ორსართულიანი სახლის სახურავიდან ზვერავენ მტრის ძალებს, იტყობინებიან, რომ მტერი ათჯერ უფრო ძლიერია; გამოგველია ტყვიები, გადაწყვეტილია უკან დახვევა და პარტიზანული ომის გაჩაღება, მაგრამ ამისათვის საჭიროა მტრის გარღვევა, გუანდინის მიმართულებით წასვლა, იქ კი მთელი გუანდინი აჯანყებული დადგება ფეხზე.

მე მაშინ კანტონში არ ვიყავი, როცა გომინდანი ხერცხლა მუშებს, მე არ მინახავს სისხლში ატურებული და დასახიჩრებული ძმების გვამები, რომლითაც აავსეს ყველგან მთელი ქალაქის ქუჩები, მე ვიყავი იმათთან, რომლებმაც უკან დაიხიეს, მაგრამ ფიცი დავდეო ისევ დავბრუნებულიყავით. კანტონის კომუნა დაახრჩეს.

მაგრამ აგერ თითქმის ერთი წელია, რაც მისი დროშა ფრიალებს ხუნანისა და გუანდინის ფარგლებში. იქ ყოველდღე იზრდება ჩვენი მომხრეების რიცხვი და, ალბათ, მალე ჩვენ ისევ დავბრუნდებით კანტონში საბოლოო გამარჯვებისათვის რევოლუციონურ გლეხებთან ერთად და იქიდან ავაფრიალებთ წითელ ოქროსს მთელ ჩინეთში.



პიონერები სკოლაში.

როგორ უნდა გავაზაროთ საკლუბო საათი.

რისგან შედგება საკლუბო საათი? — ის შედგება სამოცი მხიარული წუთისაგან.

ყველა ერთობა და ყველა მხიარულია!

განსაზღვრულ საკლუბო დღემდე ერთი კვირით ადრე სკოლაში გააკრეს ფართო

რედაქციის მეოთხე წევრია — ფოსტის გამგე. ის ესაუბრება აუდიტორიას, იღებს დეპეშებს, აგროვებს შეკითხვებს და აძლევს პასუხს.

ყველა წერილი და შენიშვნა იკითხება თვით ავტორების მიერ; შენიშვნები რედაქციის წევრების მიერ წაიკითხება გამონაკლის შემთხვევებში.

ჟურნალის გამოსვლის დროს სცენაზე არიან მხოლოდ რედაქციის შემადგენლობა და ავტორები იმ განყოფილების შენიშვნებისა, რომელიც გამოდის.

ჟურნალს უნდა ჰქონდეს შემდეგი განყოფილებანი: **მოწინავე** — 5-10 წუთი.

შემდეგი განყოფილებაა — **სკოლა და ჩვენ**; აქ მოქცეულ უნდა იქნას შენიშვნები სასკოლო მუშაობის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ მოწაფეები სკოლის გარეშე. ამ განყოფილებას უნდა დაეთმოს 15-20 წუთი.

შემდეგ მიდის სამხატვრო-სალიტერატურო ნაწილი; აქ ნაჩვენებია უნდა იქნას წრეების მუშაობა, მაგრამ არა მარტო სალიტერატურო, სამუსიკო და დრამატიული წრეების, არამედ საამკინძაო, სადურგლო და სხვა წრეების მუშაობაც.

ეს იქნება წრეების მიღწევათა გამოფენა. ამ განყოფილებისათვის შეიძლება დროის გაგრძელება — 1 საათამდე.

შემდეგი განყოფილებაა — **ფოსტა**.

ფოსტის გამგე იძლევა პასუხს ყველა მის მიერ მიღებულ შეკითხვაზე. შეკითხვები შეიძლება იყოს ყოველგვარი. იკითხება დეპეშები და განცხადებები, როგორც სერიოზული, ისე სახუმარო სახის. დასასრულ კი — სინათლის შარკები (სინათლის გაზეთის მოწყობის შესახებ იხილე ჟურნალი „პიონერი“, № 19, განყოფილება: „სასკოლო წვრილმანი“. იქ აწერილია, თუ მსუქანი სახისაგან როგორ კეთდება მკლე სახე, მკლე სახისაგან — მსუქანი. ანუ ჩვეულებრივი და მრავალი საინტერესო რამ). ჟურნალი დასრულდა. ნახვამდე! შემდეგ ნომრამდე!..

განცხადება.

პარასკევს, 20 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე გამოვა ცოცხალი ჟურნალის მორიგი ნომერი.

მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან

უველა წრე,

ქასწაფლებელნი და მოწაფეები.

მახალეები — წერილები, შენიშვნები, ლექსები — უნდა გადაეცეს საფოსტო ყუთის გამგეს აშხ.

ჟურნალის რედაქცია.

რედაქციას წინასწარ ირჩევენ. რედაქტორად უნდა აირჩიონ გონებამახვილი ახალგაზრდა, ის წლოვანებითაც უფროსი უნდა იყოს თავის ამხანაგებთან შედარებით. ის პასუხისმგებელია ჟურნალის გამოცემის საქმეში. ის იხილავს და უშვებს ყველა წერილს და იძლევა ახსნა-განმარტებებს ცალკე გამოსვლების დროს. შემდეგ საჭიროა რედაქციის მდივანი, რომელიც იხილავს და ასწორებს მასალას. აგრეთვე საჭიროა სალიტერატურო-სამხატვრო ნაწილის გამგე. მან უნდა შეაგროვოს ყველა და მათგან შეადგინოს საინტერესო პროგრამა.



პიონერების მოსახერხებელი საქმეები

ფ. მახარაძის სხელოვნის პიონერკომ- ლექსივი

ს. ექაღის კომპარტიის და კომკავშირის უჯრედ-
თან არსებული ფილიპე მახარაძის სახელობის კოლექ-
ტივის (ოზურგეთის საბავშვო სახლის № 3 კოლექტივი)
მუშაობა წინ მიდის; გასულ თვეში ტფილისის განათლე-
ბის კომისარიატმა საბავშვო სახლის გამგის საშუალებით
გამოუგზავნა ჩვენს პ. კოლექტივს დოლი და ლიტერატუ-
რული წიგნები, 600 რვეული, ჭადრაკი, ლოტო, 12-მანე-
თიანი 2 ლამპა, ოქტომბრელების სათამაშოები და სხვა.
პიონერთა კოლექტივი დიდ მადლობას უთვლის ტფილი-
სის განათლების სახალხო კომისარიატს, რომელმაც აგ-
რეთვე გამოგვიწერა ჟურნალი „პიონერი“. ჩვენი პ. ორ-
განიზაცია 24 პიონერს აერთიანებს, ამათგან 6 კომკავ-
შირელს, 12 ოქტომბრელს და 6 სასკოლო აღზრდის
ბავშვს რომლებიც მოთავსებული არიან საბავშვო ბაღში.

კოლექტივს აქვს თავისი მუშაობის სამთვითური
გეგმა. საბჭოს და კოლექტივის კრებები თვეში ორჯერ
ხდება, ინსტრუქციის თანახმად. პ. კოლექტივში ჩამოყა-
ლიბებულია შემდეგი სექციები: კულტსექცია და სანიტა-
რულ-ჰიგიენური სექცია. კულტსექცია თავისი ინიცია-
ტორობით ამზადებს რეფერატს ბავშვთა მოძრაობის შე-
სახებ, ჰიგიენურმა სექციამ მოაწყო მოხსენება, „მაღარი
ჩვენი“.

კოლექტივი და სექციები უწვებენ გაერთიანებულ
თვითურ კედლის გაზეთს „ნორჩი პიონერის“ სახელწოდე-
ბით, სადაც წერენ სექციებს და კოლექტივის მუშაო-
ბის, აგრეთვე პიონერების ყოფა-ცხოვრების, პიონერების
ცუდი წარმატების და მრავალი პრაქტიკული საკითხის
შესახებ.

პ. კოლექტივმა აქტიური დახმ რება გაუწია ს. ექა-
ღის გლეხობას სოფლის გზის გაყვანაში.

კოლექტივში მოწყობილია სხვადასხვა კუთხე თა-
ვისი ლიტერატურით: ლენინის კუთხე, ფაბრიკის კუთხე,
რემედისის კუთხე, სააფთიაქო კუთხე და სხვა.

კოლექტივს გამოწერილი აქვს 5 ცალი „ახალგაზრ-
და კომუნისტი“, 3 ცალი ჟურნ. „პიონერი“, 2 ცალი
„ოქტომბრელი“ და 1 ცალი ჟურნ. „რემედისი“. ასეთია
ჩვენი კოლექტივის მუშაობა.

პიონერი ბ. მანთიძე.

ჩვენი ნაკლი და მიღწევები. (ქარელი გორ. მაზრა)

ქარელი კარგა მოზრდილი სოფელია, სადაც 1020
კომლამდეა. აქ არსებობს შეიღწეული, სადაც თავმოყრი-
ლია ოთხასი მოწაფე. მოწაფეები ძალიან აფასებენ ქარე-
ლის პიონერ-ორგანიზაციას და ებმებიან მასში. პიონერ-
თა ორგანიზაცია განთქმულია მთელს ქარელის თემში.
ამ კოლექტივში შედის 60 პიონერი და 30 ოქტომბრე-
ლი. პიონერები აქტიურად მუშაობენ კოლექტივში და რა-
საც კი დაავალებს ორგანიზაცია, პირნათლად ასრულე-
ბენ. ეს კოლექტივი დაყოფილია ექვს რგოლად, რომ-
ლებსაც სათანადოდ მომზადებული ხელმძღვანელები
ჰყავთ. ოთხი წელიწადია, რაც ეს კოლექტივი არსებობს
და მოსახლეობაშიც კარგი ავტორიტეტი აქვს მოპოვე-
ბული. მაგრამ უნდა აღინიშნოს ნაკლიც — კოლექტივი
ლიტერატურის მხრივ ძალიან ჩამორჩენილია, არ აქვს
იმდენი სახელმძღვანელო, რომ უფრო ნაყოფიერად მი-
მდინარეობდეს მეცადინეობა, მასწავლებლობაც ძალიან
გულგრილად უყურებს ორგანიზაციას. ეს აღნიშნული
ნაკლი უნდა გამოასწოროს ნ. პიონერთა ბიურომ.

პიონერი ლადო ლომიჭაშვილი.

ორგანიზაცია დაულის გზაზე (ს. ახალდაბა, გ. მაზრა)

სოფელ ახალდაბაში პიონერთა შორის მუშა-
ობა გასულ წელს სათანადო სიმაღლეზე იდგა.
არსებობდა ორი კოლექტივი — კარლ ლიბკნეხტის და
რიკოვის სახელობის. მუშაობა კოლექტივებში
სისტემატიურად წარმოებდა. წელს კი მუშა-
ობა მინეღდა, აღარ იწვევენ კოლექტივის კრებებს
და აღარც არავითარი მუშაობა არ წარმოებს.

საჭიროა ამას ყურადღება მიაქციონ ადგილო-
ბრივმა კ. კ. უჯრედებმა.

პავ ბლიაძე.

სოფელი ილორი (ქუთ. მაზრა)

სოფელ ილორში არსებობს პიონერ-კოლექტივი აქ
ჩამოყალიბებულია დრამ-წრე მსახიობ ლადო გვი-
შიანის ხელმძღვანელობით, რომელიც ხშირ-ხშირად
მართავს წარმოდგენებს პატარა პიონერების მონა-
წილეობით. ამ საქმეს დიდი ხალისით ეტანებიან პა-
ტარა პიონერები და მადლობას გამოსთქვამენ მშო-
ბელთა წრესთან ერთად. წრეს აკლია საჭირო რეპერ-
ტუარი.

იქსი.



არა გვეზღს

არა გვეზღს ქრი' ტე და აღარც ღმერთი,
აღარც ალი და აღარც ქინკა,
კომუნას აგებს მრავალი მკერდი,
მეცნიერება ყველაზე წინ ღვას.

დღეს ეკლესია ვაქციეთ კლუბად,
მივეციტ ცეცხლი „ღმერთებს“ დახატებს.
არავის სჯერა ლოცვა და კრუღვა,
სარწმუნოების დაეხიეთ ბადე.

მოვაწყეთ ყველგან * * *
ქობ-სამკითხველო,
მოვაწყეთ ყველგან რადიო, კინო,
ჩაქრა შენი დღე, მტყუანა მღვდელი,
შენ მოგსპო ახალ ცხოვრების კილომ.

იმარჯვებს ყველგან * * *
მშრომელი კლასი
და ისმის ყველგან კომუნარტ ხმები:
„რკინა—მშრომელი, დროშით წინ გასწი!
მტრის ჩასაქრობად გამართე ხელი“.

შ. შამფრიანი.

მისაგაჰი მგაგალითი

8 მარტის სახელობის კოლექტივის მოქმედება მისაბაძია. ამ კოლექტივის პიონერებმა გადასწყვიტეს, რომ კოლექტიურად შეეძინათ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაცია, ამ მიზნით გასწიეს აგიტაცია პიონერებში და დღემდე თითქმის მთელი თანხა შემოტანილია. უნდა აღნიშნოს ის გარემოებაც, რომ ფულის შემოტანა ნებაყოფლობითია. პიონერები უკვე გარკვეული არიან, თუ რა მიზანს ემსახურებიან.

პიონერებო, თქვენც მიჰბაძეთ 8 მარტის სახელობის კოლექტივს, შეიძინეთ ობლიგაცია და დაეხმარეთ საბჭოთა აღმშენებლობას.

გოგი ლომიძე.

ჩვენს ვეუშაოვთ.

ა. წ. გაზაფხულზე ჩვენი მუშაობა საკმაოდ მოიკოჭლებდა, ახლა კი დღითი-დღე შესანიშნავად ფართოვდება. ვუშვებთ ორკვირეულ კედლის გაზეთს.

კოლექტივში ირიცხება ნა პიონერი, ოქტომბრელების გამოკლებით. კოლექტივთან არსებობს რემედისის და ოსოავიოქიმის უჯრედები. კოლექტივს დიდ დახმარებას უწევს სამომხმარებლო კოოპერატივი, რომელიც ყოველთვიურათ 5 მანეთს იძლევა. ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს კოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ბეჟანოვი და ნაწილობრივ მის მუშაობასაც მიეწერება ჩვენი ზრდა.

მ. სააკოვი.

ჩვენი სიზღარა

მედგარი ბრძოლით
ექმნით ახალ ყოფას,
წითელი დროშით
წინ-წინ მივიწევთ.
ლენინიზმის გზით
მარად ჩვენ ვივლით,
ყველა დაჩაგრულს
ხელსა გაფუწევთ.
კომუნიზმის მზე
გულსა გვინათლებს,
ვერ ვგრძნობთ დაღალვას
აღტაცებულნი.
მუშის და გლეხის
ვართ ჩვენ შვილები,
შრომით და ბრძოლით
გაკაჟებულნი.

ა. ქეიშვილი.

პიონერთა კედლის გაზეთის შესახებ.

პიონერთა კედლის გაზეთში უნდა იწერებოდეს წერილები პიონერების და მოწაფეების ცხოვრებიდან, ყოფა-ცხოვრების წვრილმანებზე და სხვ.

რამდენად გამართლებულია ეს აუცილებელი პირობა მე-9-შრომის სკოლასთან არსებულ მე-23 კოლექტივის კედლის გაზეთში? ამის შესახებ თამამად უნდა ითქვას, რომ კედლის გაზეთი აქ თავის დანიშნულებას არ ასრულებს. კედლის გაზეთი გაესებულია მთლად უსუსური ლექსებით. მხოლოდ ორ წერილს თუ აქვს დათმობილი ადგილი. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს სკოლის ლიტწრემ, რომ პიონერებს ასწავლოს წერილების წერა.

პიონერთა გაზეთის გვერდ თ აკრულია კომკავშირის გაზეთიც. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლები უყურადღებოდ სტოვებენ მას და არც კითხულობენ, რაც დაუშვებელი ამბავია.

გ. პაპუკაშვილი.

ჩვენი კოლაქსივი

(ქ. ტფილისის პირველი რაიონის ლ. აბაშიძის სახელობის მე-22 კოლექტივი.)

ეს კოლექტივი დიდი ხანია არსებობს. წარმოებს გაცხადებული რგოლური მუშაობა. კოლექტივი აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადო საქმიანობაში, მაგ, მოაწყობს შაბათობა, რომლის მიზანი იყო გაემწეებია ბალი ბავშვთათვის, კოლექტივი ცდილობს მიიზიდოს უპარტიო ბავშვები. ის ეხმარება ღარიბ პიონერებს, მაგ. ერთ სოფლიდან ჩამოსულ ღარიბ პიონერს კოლექტივი დაეხმარა შეძლებისდა გვარად სასწავლო ნივთებით; გვაქვს მოწყობილი სხვადასხვა წრე — სიმებიანი წრე, თამაშობათა შემსწავლელი წრე, ქარგვის წრე, რომელშიც მუშაობენ მომაგრებული მშრომელი ქალები. ყოველივე ეს ხელმძღვანელ მიზანთმელოდის მუშაობის შედეგია.

პიონერი მარო კობახიძე.



ავიაციის პირველი ნაბიჯები.

1908 წელს რაიტები ესტუმრენ საფრანგეთს თავისი ჰაეროპლანით. ფრანგებს იმ დროს უკვე აგებული ჰქონდათ ჰაეროპლანები და მაინცა და მაინც არ გაკვირებიანთ რაიტების გაფრენები.

რაიტები ფრინავდნენ პარიზში ხალხის წინ მარსის მიმდევრებზე. პირველად ერთმა მათგანმა შესძლო ჰაერში ორმოცი წუთი დაეყო. მეორეჯერ მან საათ ნახევარს დაჰყო ჰაერში და გაიფრინა სამოც კილომეტრზე მეტი. იმავე წლის დეკემბერში მეორე მმა აფრინდა 110 მეტრის სიმაღლეზე. ეს მაშინ დიდი მიღწევა იყო, და მთელი ქვეყანა განცვიფრებაში მოვიდა. შემდეგ კი მანვე ორი საათი და ოცი წუთი დაჰყო ჰაერში და გაიფრინა ას ოც კილომეტრზე მეტი.

საფრანგეთში ჰაეროპლანის პირველი ამგები იყო ოფიცერი ფერბერი. მან პირველად აფრინა ვერ გაბედა და თავისი ჰაეროპლანი ჩამოჰკიდა მაღალ სვეტზე მოხმულ თოკზე და წრიულად ბრუნავდა სვეტის გარშემო. ერთ-ერთ უშუალოდ აფრინის ცდის დროს ფერბერს ჰაეროპლანი გადაუბრუნდა, დაემსხვრა და თვითონაც დაიღუპა.

შემდეგი იყო ლუი ბლერიო, რომელმაც ყველაზე კარგ შედეგებს მიაღწია. ის იყო პირველი ავიატორი (მფრინავი) ფრანგებს შორის, ყველაზე ადრე მან შესძლო დიდ მანძილზე გადაფრენა (200 მეტრზე) და მიწას თოთხმეტი მეტრით ასცილდა (1906 წელს). საუკეთესო შედეგებს მიაღწია მან 1908 წელს. იენისში ის გადაფრინდა ოთხი კილომეტრის მანძილზე. ოქტომბერში ხუთი კილომეტრი განვლო რამდენიმე წუთში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ერთი ქალაქიდან მეორეში გადაფრინდა და განვლო 28 კილომეტრი.

ყველაზე უფრო სახელოვანი იყო ბლერიოს გადაფრენა ლამანშზე 1909 წლის 25 ივლისს. მთელი კაცობრიობა ვაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ამ გაფრენის შედეგებს. ზღვაში ბლერიოს თანამგზავრებად გამოწვეულ იქნენ სამხედრო ნაღმოსნები. ბლერიო აფრინდა საფრანგეთიდან და ოცდახუთი წამის შემდეგ დაეშვა ინგლისის ნაპირზე; ოცდახუთ წამში მან განვლო 30 კილომეტრი და ფრენდა 50 მეტრის სიმაღლეზე ზღვის ზედაპირიდან.

შემდეგი ცნობილი მფრინავი იყო სანტოს დიუმონი. ის გატაცებული სპორტსმენი იყო და თავისი ჰაეროპლანით მუდამ ცდილობდა რეკორდის დამყარებას. 1908

წლის 13 იანვარს მან მარტლაც აიღო ავიაციის პირველი ჯილდო.

ფარმანმა და დელაგრანემ კიდევ უფრო კარგ შედეგებს მიაღწიეს. 1908 წლის დამლევს ისინი უკვე განუწყვეტლივ ფრენდნენ რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე. ისინი დადიოდნენ საფრანგეთის ყველა ქალაქში, უხსნიდნენ ხალხს ჰაეროპლანების აგებულებას, ფრინავდნენ მათ თვალწინ და, საერთოდ, ეწეოდნენ ავიაციის ვრცელ პოპულარიზაციას.

სწორედ მათმა მოღვაწეობამ იძულებული გახდა მილიონების მოტრფიალე რაიტები გამოემყდნენ ერთ-ერთი საიდუმლოება და ხალხისთვის ეჩვენებინათ თავისი პირველი ჰაეროპლანი.

რა სასაცილოდ გვეჩვენება დღეს ავიაციის განვითარების პირველი ნაბიჯები. თუკი მაშინ ლამანშის გადაფრენა თითქმის „სასწაულს“ წარმოადგენდა, დღეს უკვე ატლანტიურ ზღვებზე გადაფრენაც შესძლეს.

ლინდბერგი ნიუ-იორკიდან პარიზში გადაფრინდა ატლანტის ზღვაზე მარტო. ჩემბერლენი ნიუ-იორკიდან ბერლინში და ჰაერში დაჰყო 48 საათი ძირს დაუშვებლად.

ბერდმა ჩრდილოეთ პოლუსს მიაღწია და უკან დაბრუნდა.

ჩუხნოვსკიმ ნობილეს ექსპედიციის ადგილმდებარეობა აღმოაჩინა და უხელმძღვანელა „კრასინს“ მათ გადასარჩენად.

ბევრი სახელოვანი გმირი ჰყავს ავიაციას. ბევრი სახელოვანი მფრინავი შეიწირა იმპერიალისტურმა ომმა. პეგუ, გარო, რიხტოფენი და სხვები, რომელნიც კაცობრიობას ანცვიფრებდნენ თავისი მამაცობით და საავიაციო მიღწევებით, — დაიღუპნენ ამ მტაცებლურ ომში.

ავიაცია სწრაფი ნაბიჯით მიიწევს წინ. შენდება სამგზავრო და საფოსტო ჰაეროპლანები. თუკი უწინ ერთი კაცის აფრენა საძნელო იყო, დღეს ოცდაათი კაცის აყვანა შეიძლება.

საბჭოთა კავშირის მიზანია, რომ ავიაცია გამოიყენოს ჩვენი მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის. ავიაციას აქ შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს სასოფლო მეურნეობას მავნებლებთან ბრძოლაში, ადგილების გეგმების გადაღებაში, ტყეების ხანძრების ჩაქრობაში და სხვა.

ა. ბელიაშვილი.

თითოეული პიონერი და შრომის სკოლის მოწაფე საბჭოების საარჩევნო კომპანიის აქტიური მონაწილეა. საბჭოების ახალ შემადგენლობას უნდა მისცეთ განაწესი, (ნაკაზი) დაარიგოთ საარჩევნო უწყებები. სიმღერით, ხალისით და ლოზუნგებით მივიდეთ საარჩევნო კრებებზე.

შავი ზღვის პირას.

I

ზანგები ჩვენში.

— აგერ იმ მიდამოებში ცხოვრობენ ზანგები ანუ, როგორც უცხოელები ეძახიან, ნეგრები... — წარმოსთქვა ერთმა მგზავრთავანმა ბაქანზე და მოაჯირზე გადაყრდნობილმა ხელი გაიშვირა აფხაზეთის ლამაზი სანაპიროებისკენ, რომელსაც შორით, თითქოს ცის ლურჯ თაღს სვეტებად შესდგომიანო, მაღალი მთები გადმოსცქეროდა...

— როგორ, ზანგები ჩვენში?! — ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა...

— დიად... ჩვენ ხშირად უცხო სახელმწიფოებს ვეცნობით, ვიცით, მსოფლიოს გადაჭიმულ კალთაზე რამდენი ხალხი და ვინ ცხოვრობს, ცხვირწინ კი არიან ისინი, ვიზედაც ეხლა გაიკვირეთ. მათი სამშობლო ცხელ აფრიკაშია, სუდანში; სირცხვილია, რომ ამ ხალხს არ ვიცნობდეთ...

— საიდან? როგორ მოხვდნენ აქ?

— როგორ და... გეტყვით...

ჩვენში დიდი ხანია ცხოვრობენ ეს აფრიკელი ზანგები; ისინი აქ მოხვდნენ წარსული საუკუნის დასაწყისში, როდესაც კავკასიაში ჯერ კიდევ წარმოებდა მონების ვაჭრობა; როცა მოისპო მონობა, ბევრი მათგანი დაბრუნდა თავის სამშობლო აფრიკაში, საიდანაც იყვნენ წამოყვანილნი გასაყიდად; დანარჩენები მოხვდნენ აფხაზეთის თავადთა ყმობაში და დარჩნენ აქ...

ამჟამად აფხაზეთის სხვადასხვა მხარეებში, ქალაქ სოხუმიდან ასე 50—70 კილომეტრის მანძილზე,


ჯერ კიდევ შენახულია ზანგების 20-მდე მეურნეობა; ხალხის რიცხვი არ აღემატება 60—80 კაცს...

ისინი ცხოვრობენ ცალკე ოჯახებად, აფხაზთა და მეგრელთა შორის, რომლებშიც ისე გაითქვიფენ ერთი-მეორეში შეუღლებით, რომ ხშირად ძნელად გაარჩევ ზანგს აფხაზისაგან. ნამდვილი სუდანელი სისხლის მოხუცი შავი ზანგები აქა-იქ თუ-ღა მოიპოვებიან.

ადგილობრივ მცხოვრებლებთან სისხლის შერევამ წარმოშვა სრულიად ახალი იერის ადამიანები, ნახევრადზანგი, ნახევრადაფხაზი, რომელთაც მამებიდან შერჩათ შოკოლადის ფერი, მოთეთრშავო სახე, განიერი, ფართე გაჭყლეტილი ცხვირი და გამობერილი მულოურჯო სქელი ტუჩები; მაგრამ სხვა რასებიდან განსხვავებული კავკასიური არწივისებურ ცხვირის მოყვანილობა მაინც სძლევს და მატყლივით ხუჭუჭი თმის სირბილე მაინც ამტკიცებს მის წარმოშობას.

აფხაზებიდან ბევრი რამ შეითვისეს და ჰბაძვენ ყველაფერში; მაგალითად: ენა, ზნე-ჩვეულება, ადათი, ჩაცმა-დახურვა, ოჯახის მოწყობილობა, მეურნეობის წარმოება და ბევრმა სარწმუნოებაც. მათს უმრავლესობას გვარი და სახელი აფხაზური აქვს და, რაც დამახასიათებელია, სისხლის აღებაც, რომელიც ჩვენში აქა-იქ კიდევაც დარჩენილი, მათშიაცაა გავრცელებული.

ზანგები უფრო ღარიბად ცხოვრობენ, ვიდრე ადგილობრივი მკვიდრნი; ზანგის სახლი, საცხოვ



აფხაზეთის სანახლობა.



რებელი ბინა, მაინც და მაინც ძალიან არ განი-
ჩევა მათი ძველი აფრიკული ქოხისაგან: უმეტესი
მათგანი წნული ფაცხები — გაუღესავი და უფან-
ჯრო; კერა ძირს, სიწახე, რაიც მეზობელ აფხაზთა
კერისაგან განსხვავდება.

ისინი მისდევენ ხვნა-თესვას და, ნაწილობრივ,
მეთამბაქოობასაც ეწევიან.

მკვიდრი მცხოვრებნი ისე შეუთვისდნენ ამ ზან-
გებს, რომ ბევრ სასოფლო საქმეში ერთად გამოდიან,
ერთმანეთს პატვის სცემენ; მაგალითად, შარშან აძიბუას
თემის სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ აფხაზი მოსა-
ხლეობის მიერ არჩეულ იქნა ზანგი **ხაბაბ შააბანი**,
რომელიც კომპარტიის კანდიდატია.

ზანგების კოლონია აფხაზეთში ერთადერთია
მთელს საბჭოთა კავშირში თავისი რიცხოვრივი სი-
მრავლით; ამბობენ, მცირეოდენი კიდეც მოსახლე-
ობს, თურმე, ბათომის ახლოს, სამეგრელოში და
აგრეთვე ჩრდილო კავკასიაშია.

დაათვა მოსაუბრემ და გაემართა ერთ ზორბა
ტანის ვაჟკაცისკენ, რომელიც აფრის თოკებს სჭი-
მავდა, ხელი გაუწოდა ღიმილით და ჩვენზე რაღაც
ანიშნა...

ეს იყო ამ გემის მეზღვაური, რომელიც მოვიდა
და მხიარული ღიმილით მოგვესალმა, ხელი ჩამო-
გვართვა...

— ჯოჯო შიშა.

ეს იყო მისი სახელი და გვარი.

— აი ერთი იმათთაგანი, რომლებზედაც ეხლა
მოგიყვებით...— გვითხრა დაუზარელმა მოსაუბრემ...

ჯოჯო შიშა კარგად ლაპარაკობდა აგრეთვე
აფხაზურად, მეგრულად, რუსულად მცირედ, და
ბოლოს დაატანა:

— მალე ქართულად კარგად მეცოდინება, ეხ-
ლა კი ბოლდიში, რომ ვამტვრევ...— დაათვა ღიმილით.

მის სახის იერზე ჩანდა ყველა ის ნიშანი, რაც
ავიწერა მოსაუბრემ.

II

მაიმუნების სამყარო.

მზე უკვე კარგა ვადაიწვვრა დასავლისკენ, როცა
ბაღში ავედით.

ესაა ჩვენში არსებულ ყველა ბოტანიკურ ბაღ-
თან შედარებით ერთი უუღლამაზესი ბაღი, კოხტად
დაგვემილი ხეივნებით, სუბტროპიკული (თბილი
ქვეყნების) მცენარეულობით და სწორედ აზიდული
ევკალიპტის ხეებით, ქოლგისებური პალმებით და
სხვადასხვა ყვავილებით, ვარდებით, რომელთა საამო
სურნელებაც აბრუებს ადამიანს.

— მითხარი, გეთაყვა, სადაა აქ მაიმუნები? —
შევეკითხე ბაღის კარებში ჯიხურში („ბუღკაში“) მჯდარ კაცს, რომელსაც შესასვლელი ბილეთი გა-
მოვართვი.

— აგერ, იქ... — მიპასუხა მან სიამით და გამი-
შვირა ხელი გორაზე, შორს, სწორედ იქით, სადაც
განზრახულია შავი ზღვის რკინის გზის გაყვანა,
რომელიც მიდის ზღვის მარჯვნივ, თუ ზურგით
ზღვისკენ ხართ, გვირაბიდან, და თუ ხიდიდან —
მარცხნივ.

გორაზე ასავალი გზა ცოტა სამცხლოა; მაგრამ
ფეხდაფეხ გაყვები მიმავალი ექსკურსანტების ჯგუფს.

აი მივადექით ლამაზ თეთრ სახლს, ირგვლივ
მავთულხლ რთებით შემოღობილს.

გაილო კარი, და წინ შემოგვეგება ექიმი **ტობოლ-
კინი**, რომელსაც დავალებული აქვს მაიმუნების
მოშენების საქმე, მოწყობა, ცდები და სხვა; იმას ჯი-
ბეები გამოტენილი ჰქონდა სხვადასხვა ხილით და
ტკილი ნამცხვრებით, რაიც მაიმუნებს ძლიან უყვართ
და ისინი, უკვე შეჩვეულნი, თვითონვე იღებენ ექიმის
ჯიბიდან და გემრიელად შეექცევიან. ჩვენს შეკით-
ხვაზე, თუ რათ უნდათ ეს მაიმუნები, ექიმმა დაწვრი-
ლებით და ხალისით გვიამბო:

— თქვენ კარგად იცით, რომ მაიმუნები თბი-
ლი ქვეყნების ცხოველებია, განსაკუთრებით აფრი-
კაში ბინადრობენ, შიმშანზე, გორილა, ორანგუტანგი
და სხვა მრავალი სახელწოდების და სიდიდ-სიპატა-
რავისანი. მაიმუნი ცივ ქვეყანაში ვერ სძლებს და,
რაც უმთავრესია, არ მრავლდება, ნაშენობას არ იძ-
ლევა. ამიტომაც არის, რომ აქ, სოხუმში, მოვაწყეთ
ამათი მოსაშენებელი ადგილი, და სოხუმის ჰავა კი
უდრის თბილ ქვეყნებისას. აი ეს თოთხმეტი მაიმუნი
შევიძინეთ საზღვარგარეთ და ამითი გვესურს მათი
გამრავლება. ამ ორი წლის წინათ ცამეტი შევიძინე,
მაგრამ ისინი გზაშივე დამეხოცა... ამათი იმედი
მაქვს და, აი, როგორც ხედავთ, უკვე გამოიღეს
ნაყოფი... — ამ სიტყვებთან ერთად მივივითთა მაი-
მუნების ერთ ოჯახზე, დიდ გალიაში, სადაც დედა
მაიმუნს ხელში ეჭირა, გულში ჩაეკრა ახლად შო-
ბილი პაწია მაიმუნი; ამ მაიმუნის ჯიშს **გამადრილა**
ჰქვიან. იქვე იყო მეორე, ცოტა მოზრდილი, მაი-
მუნი, ისიც აქ დაბადებული, და გვიწვიდა ხელს;
მე კამფეტები გავუწოდე და დასტაცა ხელი, პირში
გააქანა, მაგრამ დედა ეცა, ხელი პირში ჩაუღო და
გამოუწმინდა, მერე ყური აუწია და კუთხეში
მისვა...

— აი, ზოგიერთი ჩვენი დედები რომ მიბა-
ძადენ ამათ და ჩვილ ბავშს მოუვლიდნენ, რომ ის
ყველაფერს არ სჭამდეს, კარგს იზამენ... — გვითხრა
ღიმილით ექიმმა. — ვიდრე ძუძუს აწოვებს დედა-
მაიმუნი თავის შვილს, ნებას არ მისცემს ჰამოს რამე
და რა მოიზრდება, მერე თვით შეჩვევს ხილის
ჰამას.

განცალკევებით იჯდა, ამაყად, მამა მაიმუნი და
ისე ეჭირა თავი, გეგონებოდათ ძველი ოჯახის
მბრძანებელი მასპინძელია, რომელსაც ოჯახის ყველა



წევრი ემორჩილებაო, და ეს ასეც იყო; საჭმელს რომ გაუწვდელი, ის მოვიდოდა, ჩამოგვართმევდა, შესქამდა, მერე ტუჩებს გამოიშვევდა წინ, ბაღინან მუცელს მოიფხანდა გრძელფრჩხილებიანი შათებით და ზედ დაიწყებდა ყურებს; დედა-მაიმუნი კი როგორც ჩვენთან, ისე მასთან მორცხვად იყო და თავდაჭერილად, მისი მორიდებით თუ შიშით ჩვენთან ვერ ბედავდა მოსვლას...

მაიმუნთა მოშენებას სამკურნალო დანიშნულება აქვს... ის საჭირო წამლეულის წყაროა როგორც გაახალგაზრდადების ცდებისთვის, ექიმ ვარონოვის მეთოდით, ისე სხვადასხვა ავადმყოფობის მოსარჩენად, რომელთაც მედიცინაში სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიებენ, და განსაკუთრებით კი კიბოს ავადმყოფობის მოსარჩენად, რის წამალი აქამდე არ არის აღმოჩენილი და ეხლა, ამთზე ცდებით, იმედია, მალე ამ საშინელი სენის მოსპობა გაადვილდება.

ჩვენ ამათი მოშენებით საბჭოთა მეცნიერულ დარგს წინ ვწევთ, მაგალითად, მაიმუნებს ვუცრით კიბოს, ტუბერკულოზს და ვენერიულ ავადმყოფობებს, გამოკვლევებს ვაწარმოებთ.

ამერიკაში და ევროპაში ამათ მოშენებას დიდი ყურადღება ექცევა.

საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა კამერუნიდან (კოლონია აფრიკაში, რომელიც წინათ გერმანიას ეკუთვნოდა და მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთ-

მა, ინგლისმა და ბელგიამ გაიყვეს) მაიმუნების გამოყვანა, იქ მათი მოშენების და გამრავლების მიზნით. საბჭოთა კავშირს არა აქვს ასეთი ადგილები, რადგანაც ის არ მისდევს სხვა ხალხების დაპყრობას, მათ დამონაგებას და ძარცვას, მათი მიწაწყლის დაპატრონებას, სიმდიდის წართმევას, როგორც იმპერიალისტური ქვეყნები სჩადიან; პირიქით, საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ ხელს უწყობს მათ განთავისუფლებას; ამიტომ ჩვენ აქ, ჩვენი კავშირის ტერიტორიაზევე ვაწყობთ მაიმუნთა სამყაროს, მათი მოშენების მიზნით, რაიც, როგორც გითხარით, მეცნიერულის თვალსაზრისით საჭიროა...

გვესაუბრებოდა ექიმი და თან დაუხარელოდ გვათვალისწინებდა ამ სამყაროს, ანუ სახლს, როგორც აქ ეძახიან...

ესაა ერთგვარი პატარა ქალაქი, სადაც ყველაფერია, რაც საჭიროა მაიმუნების საცხოვრებლად და საკეთილდღეოდ: საუკეთესოდ მოწყობილი გალიები და სახამთრო ბინები, აბანო, საოპერაციო ოთახი, ქიმიური ლაბორატორია, რამოდენიმე ათეული დესეტინა მშვენიერი ბაღი, საკუთარი საქათმე, სადაც ქათმებიც არაჩვეულებრივია, მოსკოვიდანაა მოტანილი კვერცხები და აქ გამოჩეკილი, ინკუბატორში (ქათმების ხელოვნურად გამომჩეკი მანქანა); ეს იმიტომ, რომ კვერცხები ბლომად ჰქონდეთ, რადგანაც მაიმუნებს ძალიან უყვართ კვერცხები.

სოციალური უზენაესი

რობესპიერი ციმბირში.

ვინ იყო რობესპიერი? მაქსიმილიან რობესპიერი, რომელიც დაიბადა 1794 წ., იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი ბელადთაგანი, დამფუძნებელი კრებისა და კონვენტის წევრი; იგი იყო საფრანგეთის მთავრობის ფაქტიური თავმჯდომარე რევოლუციის უაღრესად განვითარების პერიოდში, ამავე დროს იგივე ხელმძღვანელობდა იაკობინელთა კლუბს. რობესპიერის დაცემის და მისი სიკვდილით დასჯის შემდეგ დაიწყო და გაღრმავდა საფრანგეთში რეაქცია.

რობესპიერისებურ პიროვნებას უეჭველად დაწვრილებით უნდა იცნობდეს ყველა რევოლუციონერი ახალგაზრდა, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის მოზარდი თაობა — ეს უმტკიცესი დასაყრდენი მსოფლიო ოქტომბრისა. მაგრამ ამაში ხშირად წინ გვეღობება სათანადო ლიტერატურის უქონლობა, ან, თუკი არის ასეთი, იგი ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გავრცელებული მშრომელთა მასებში.

ამიტომ ფრიად სასიამოვნო ამბად უნდა ჩათვალოს ის, რომ ჩვენს პროლეტარულ სახელმწიფოში აღმოჩნდა მეტად მდიდარი ისტორიული დოკუმენტი სა-

ფრანგეთის დიდი რევოლუციის ერთ-ერთი შემქმნელის — რობესპიერის — შესახებ. ამ დოკუმენტებში შედის გაზ. „მონიტორი“-ს (ეს გაზეთი მაშინ გამოდიოდა) მთელი კომპლექტი, რობესპიერის წერილები და ხელნაწერები და სხვ.

ეს დოკუმენტები პავლე სტროგანოვის შეგროვებულია, რომელიც თავის დროზე ცნობილი იყო, როგორც ისტორიული დოკუმენტების და მასალების შემგროვებელი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ.

ბასტილის ციხის პირველი ტუსაღი.

ლაპარაკში ხშირად გაიგონებთ ხოლმე: „ბედმა დამცინა“. სწორედ ასე მოუვიდა მე-XIV საუკუნეში გუგო ობრიოს, რომელმაც ააგო ბასტილის ციხე პოლიტიკურ დამნაშავეთათვის.

1369 წლის 22 აპრილს ობრიომ, პარიზის მამასახლისმა, წარუდგინა მთავრობას ბასტილის ციხის გეგმა, რომლის თანახმად წინათ აგებულ ორ კორპუსს მიერთა კიდევ ორი ახალი კორპუსი. ოთხივე კორპუსი ობრიომ ქვიტკირის სქელი კედლებით დაუკავშირა ერთმანეთს. ობრიოსვე წინადადებით და აქტიური ხელმძღვანელობით იყო აგებული „პტი შატილე“ (პატარა ციხე)-



ამ ციხის დანიშნულება იყო — აღმოეფხვრა ძირფესვიანად გამანადგურებელი გამოსვლები სტუდენტებისა, ამ ყველაზე უფრო მოუსვენარი და ჯიუტი კორპორაციისა, ვინაიდან იგი საუკუნობრივ ბრძოლას აწარმოებდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მრავალ სტუდენტს დაუღევი შეატოვს ცივ კედლებს შუა თავისი ჯან-ღონით აღსაყვამ და მედგარი ბრძოლის წყურვილით ანთებული სიცოცხლე. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ობრიო სტუდენტობას მეტის-მეტად სძულდა.

ამიტომ მაშინდელმა რევოლუციონერმა სტუდენტობამ გაუგზავნა თავისი დღეგაცია საფრანგეთის რეგენტს, ანჟუის ჰერცოგს. დღეგაციას ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა:

— მე ბრალს ვდებ გუგო ობრიოს, პარიზის მამასახლისს, შეუფერებელ და გამხრწნელ მოქმედებებში; მე ბრალს ვდებ იმაში, რომ მას უყვარს ებრაელი ქალი, აგრეთვე მის მიუტევებელ ცოდვად მიმაჩნია ის, რომ იგი ფეხქვეშ სთელავდა ქრისტეს სურათს.

ასეთი ბრალდების შედეგად ობრიომ ამოჰყო თავი მის მიერვე აგებულ ბასტილის ციხეში, სადაც იგი იყო პირველი ტუსაღი.

უღიანდაგო ტრამვაი.

ინგლისის მთელ რიგ ქალაქებში ჩვეულებრივი ტრამვაის ნაცვლად შემოღებულია უღიანდაგო ელექტრონის ტრამვაი. ასეთ ტრამვაის აქვს ავტობუსის ყველა უპირატესობა ქუჩაში თავისუფლად მოძრაობის მხრივ და ამავე დროს იგი იღებს ენერჯიას ცენტრალური ელსადგურიდან.

„ჰაერზე დაკიდებული“ სოფელი.

ამ ოცი წლის წინათ საფრანგეთში სოფ. სიურკუფის მცხოვრებთა ყურადღება მიიპყრო რაღაც არაჩვეულებრივმა ხმებმა და მიწისქვეშა ბიძგებმა, რომლებიც სისტემატიურად მეორდებოდა სოფლის რაიონში.

იმათ, ვისთვისაც ხელსაყრელი იყო, ეს მოვლენა მიაწერეს ბოროტი სულების მოქმედებას. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში მოხდენილმა გამოკვლევებმა ნათელყო, რომ სოფლის ქვეშ ნიადაგი 200 მეტრის სიღრმეზე და საგრძნობ სიერცხვე მთლად ცალაერია. ეს სიკაღრიერე გამოუწვევია მიწისქვეშა წყალს და ნიადაგის ფენების გადაჯგუფებას. იმ არაჩვეულებრივ ხმებს, რომ-

ლებიც ხშირად საშინელ გრგვინებს ემსგავსება ხოლმე, იწვევს ჰაერის მოქმედება ამ ცალიერ ადგილში.

ტრამვაი — წიგნსაცავი.

მიმდინარე 1928 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ქალაქ მიუნხენში (გერმანიაში) დაიწყო მუშაობა არაჩვეულებრივმა მოძრაემა წიგნსაცავმა. როგორც დაინახავთ აქვე მოთავსებულ სურათებზე, ეს არის ტრამვაის სპეციალური ვაგონი და ამიტომ მას ვუწოდებ ტრამვაი-წიგნსაცავი.



ამ ტრამვაი-წიგნსაცავის დანიშნულებაა მიაწოდოს სხვადასხვა წიგნები ქალაქის ცენტრიდან დაშორებული უბნების ცხოვრებლებს. ასეთი წიგნსაცავის შემოღება მეტად ხელსაყრელია განაპირა უბნების მკითხველებისათვის, ვინაიდან ესლა იმათ წიგნის გამოსაცვლელად არ უხდებათ ცენტრის სამკითხველოებში სიარული და, მამასა-დამე, ზედმეტი ფულის ხარჯვა და დროის გაცდენა.

მსოფლიოში ყველაზე უდიდესი გემი.

ინგლისის გემთა კომპანია „უაიტ სტარ“ შეუქმნა ინგლისის გემთამშენებელ საზოგადოებას „გარლანდ ვოლფ“ ტრანსატლანტიური გემი, რომელიც ყველაზე უდიდესი იქნება მთელ მსოფლიოში. ამ გემის ტანი სიგრძით 300 მეტრია, ე. ი. იგი 40 მეტრით უფრო გრძელი იქნება დღესდღეობით მსოფლიოში უდიდეს გემად მიჩნეულ „მაჟესტიკ“-ზე. ახალი გემის სისრაფე საათში 45 კილომეტრს გადააჭარბებს.

ელექტრონის გუთანი.

საზღვარგარეთ გამოიგონეს ელექტრონის გუთანი, რომლის საშუალებით ისპობა ყველა მავნებელი ბალახი და მიწაში მცხოვრები მწერები. ეს გუთანი ტრაქტორს მოჰყავს მოძრაობაში. გუთანს მიბმული აქვს აგრეთვე გენერატორი (ელექტრონის მანქანა), რომლიდან ელექ-



ტროდენი მიემართება სახნისებისაკენ. როდესაც სახნისები იფლობიან მიწაში, მაშინ აქ ელექტროდენი ხოცავს ყველა მწერს და სპობს მავნე ბალახებს.

ასეთი გუთნით დახული მინდორი ვაკილებით უფრო დიდ მოსავალს იძლევა.



ბრძოლა ბოროტმოქმედებასთან

უკანასკნელ ხანებში ამერიკის ბანკებმა შემოიღეს ხმარებაში შავი ფერის სამშრალელები ქაღალდი. ამის მიზეზი ის იყო, რომ იქ ძლიერ გახშირდა ყალბი საბუთები ს შედგენა ბანკის თანამდებობის პირთა ხელმოწერით. ასეთი საბუთების შედგენის მიზნით ბოროტმოქმედნი მი-

მართედენ ხოლმე სამშრალეებელ ქაღალდს, რომელზეც გარკვევით რჩებოდა თანამდებობის პირთა ხელმოწერის ანაბეჭდები.

შავი ფერის სამშრალელები ქაღალდის შემოღებამ, პირველ შეხედვით ამ უმნიშვნელო ღონისძიებამ, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში საგრძნობლად შეამცირა ყალბი საბუთების შედგენის შემთხვევები.

ჰეიზერები.

I

ევროპის შორეულ ჩრდილო-დასავლეთში, ყინულოვანი ოკეანეს ახლოს, არის **ისლანდია**. ეს არის ძალიან დიდი კუნძული. რომლის ყინვარები ზღვას უახლოვდება. აქვეა ცეცხლისმფრქვეველი მთები, ზოგი ჩამქრალი, ზოგი კი ახლაც რომ აფრქვევს ცეცხლს და აქვეა ე. წ. **ჰეიზერები**, რომლებიც ადუღებულ წყალს ისვრიან მაღლა. საინტერესო ქვეყანაა ისლანდია. ვინაიდან აქ ყინულის გვერდით მუდმივი ცეცხლა გუზგუზებს. ამ კუნძულის ერთ ადგილას აღმართულია ცეცხლისმფრქვეველი მთა ბლა-ფელა, მის ძირას კი ძალიან დიდ მანძილზე გაწოლილია ორთქლი და იქიდან ხანგამოშვებით ამოხეთქავს ხოლმე კვამლისა და ადუღებული წყლის უზარმაზარი შადრევანი. ეს არის ჰეიზერების ცნობილი ველი, აქ არის დიდი და პატარა ცხელი წყაროები და ჰები და აქვეა ყინულის ველი.

ბევრმა მოგზაურმა მოინახულა ისლანდია, რომ დამტკბარიყო ლამაზი ჰეიზერების ცქერით, მეცნიერებმა კი იქ დაკვირვებები აწარმოეს, რომ შეესწავლათ ბუნების ეს საოცარი მოვლენა.

ისლანდიის ჰეიზერებში ყველაზე უფრო ლამაზია დიდი ჰეიზერი. ერთი მოგზაური მოგვითხრობს, რომ ის ეწვია ჰეიზერების ველს იმ დროს, როდესაც ყველა ჰეიზერი დამშვიდებული იყო; ჩამოჯდა დიდი ჰეიზერის მახლობლად, რომ საუბრე ექამა და ამ დროს გამყოლმა დაიყვირა: „ამოფრქვევა“. მოგზაური წამოხტა და დიდა ჰეიზერისკენ გაემშურა. წყლის უზარმაზარი შადრევანი, რომლის განი ყველგან ერთნაირი იყო, შიშინით ამოვარდა და თოვლივით თეთრ მტვრად დაიფრქვა ჰაერში; მიწა ინძრეოდა, საშინელი გუგუნი და გრიალი ისმოდა; ვერც კი მოასწრო პირველმა შადრევანმა ისევ ნაპრლაში ჩამალვა, რომ მეორე შადრევანმა ამოხეთქა, მას მესამე მოჰყვა. სამი წამის განმავლობაში სამჯერ ამოხეთქა, მერე კი 20 მეტრის სიმაღლეზე ავარდა შადრევანი და მახლობლებით დაიფანტა. შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა.

როდესაც ქარმა გაფანტა ორთქლი. რომელსაც გოგირდის სუნი ჰქონდა, მოგზაური ავიდა ჰეიზერის

გორაზე და დაინახა ძაბრის მსგავსი ნაპრალი, განით 10 მეტრი, რომლის შუაგულიდან წვრილი მილი მილიოდა ქის ძირისკენ. ნაპრალში იყო მომწვანო წყალი. ნაპრალის კედლები ისე ცხელი იყო, რომ ჰეიზერის თავთან მდგომმა მოგზაურმა უცბად გაიშრო თავისი სველი ფეხსაცმელი.

დიდი ჰეიზერის ამოფრქვევა ხან მეტად გახშირდება, ხან კი მთელი კვირაობით შეჩერდება.

ჰეიზერის ირგვლივ ამაღლებული გორა ამოფრქვევის პროდუქტებისგან არის წარმომდგარი. ერთი მეცნიერის აზრით, დიღმა ჰეიზერმა 6000 წლის წინ დაიწყო მოქმედება.

დიდი ჰეიზერის მახლობლად არის სტროქტი, რომელშიც წყალი მუდამ დუღს და ქაფდება. როდესაც მასში ჩაადებენ ჭვას, ის ცოტა ხნის შემდეგ შადრევანს ამოსვრის, რომელსაც ამოჰყვება შიგ ჩადებული ქვები და მიწა. ამ ქვებს ისე მაღლა აისვრის ხოლმე ჰეიზერი, რომ თვალით აღარ ჩანს, ზოგი ქვა კი ისევ ვარდება ნაპრალში, ისევ ამოვარდება იქიდან და ასე ბურთივით ხტის. ჰეიზერთან ახლოს მისვლა საფრთხილოა; ყოფილა შემთხვევები, რომ ძროხები, ცხენები და ცხვრები ჩავარდნილან შიგ და მოხარშულები ამოუსვრია ჰეიზერს.

ჰეიზერების ველზე 50-მდე ცხელი წყაროა. ზოგი მათგანი ისვრის შადრევანს, ზოგი კი მშვიდად არის და მხოლოდ წყალი დუღს შიგ. წყალი შიგ ისე გამჟვრვალეა, რომ ჰეიზერის ძირი და მილებიც მშვენნივრად ჩანს. ეს ყოფილი ჰეიზერებია.

რა არის ჰეიზერი და როგორ ჩნდება იგი? აი რას ამბობენ მეცნიერები, რომლებიც აკვირდებოდნენ ჰეიზერებს.

წყალი, რომელიც დედამიწაზეა, მზის სითბოს გამო ორთქლად იქცევა და ჰაერში აღის. ჰაერში ეს ორთქლი ღრუბლების სახით არის და, როდესაც გაცივდება, ძირს მოდის წვიმის ან თოვლის სახით. წვიმის ან თოვლის წყლის ნაწილი ისევ აორთქლდება, მეორე ნაწილი დეღეებად იქცევა, მესამე ნაწილი კი მიწის სიღრმეში ჩადის და იქ შეხვდება ისეთ ფენას,

რომელიც მას არ გაუშვებს; მაშინ შეიქმნება მიწის-
ქვეშა ღელე ან წყარო. ზოგი ასეთი წყარო ამო-
ხეთქავს სადმე მიწის ზედაპირზე. ამ წყაროების წყა-
ლი ცივია, მაგრამ ზოგის წყალი კი თბილია, ან
ცხელიც—ეს ისეთი წყაროების წყალია, რომლებიც
რამდენიმე ათასი ფუტის სიღრმეზეა, ჩვენ კი ვიცით,
რომ რაც უფრო ღრმად ჩავალთ მიწაში, მით უფ-
რო მატულობს სითბო, ვინაიდან მიწის შუაგული
ჯერ კიდევ გავარვარებულ სითხეს წარმოადგენს.
ასეთი ცხელი წყარო ბევრია ცეცხლისმფრქვეველი
მთების მახლობლად.

ისლანდიის ჰეიზერები მოქმედი ვულკანების ახ-
ლოა. გაზაფხულზე, როდესაც ბლა-ფელას მთაზე
თოვლი და ყინვა იწყებს დნობას, მთელი მოზრდი-
ლი ღელეები დაეშვება ძირს და წყლის ნაწილი ნაპ-
რალებში ჩადის, სადაც მალე მიაწევს ცხელ წიაღ-
ვრამდე, გაცხელდება და ამოხეთქს ორთქლის ან
ცხელი წყაროს — ჰეიზერის — სახით. წიაღვარი, რო-
გორც ვიცით, ძალიან ცხელია (21 წლის შემდეგ,
დღიდან ამოფრქვევისა, წიაღვარს რომ პაპიროსი მი-
ადეს, პაპიროსს ცეცხლი მოეკიდა) და ის ადვილად
აცხლებს ცივ წყალს.

მიწისქვეშა წყაროებს აცხლებს დედამიწის ში-
ნაგანი სიციხე და ამის გამო ცხელდება წყალი ჰეი-
ზერის მიღშიც. მიწის ზედაპირზე ამოდის ორთქლის
ბუშტები და სკდება. მერე ნელ-ნელა ჩნდება ორთ-
ქლი, წყალი დუღილს იწყებს, ქაფად იქცევა, მიწა
იძვრის და გუგუნობს. ორთქლის ღრუბელი ზევით
ამოვარდება, მას მოჰყვება წყლის შადრევანი, ზედი-
ზედ რამდენიმე. ოცი წამის შემდეგ მიღში წყალი
ცივდება, ჰეიზერი წყნარდება და მის ყელში თბილი
წყალია. შემდეგი ამოფრქვევა ხან 6 საათის შემდეგ
იცის, ხან უფრო გვიან. შადრევანის სიმაღლეც სხვა-
დასხვაგვარია — 50 - 60 მეტრი.

მეცნიერებმა გაზომეს წყლის სითბო. ზედაპირ-
ზე წყალი უფრო გრილია, ვიდრე ძირს. როდესაც
ამოფრქვევა გათავდება, წყალი ჰეიზერში იმდენად
ცხელია, რომ შეიძლება შიგ არათუ კვერცხის, მთე-
ლი დედლის მოხარშვაც.

წარსული საუკუნის 50-იან წლებში მეცნიერმა
ჰობსტეტერმა ძალიან ბევრი ჰეიზერი აღმოაჩინა კუნ-
ძულ **ახალ ზელანდიაზე**. ამ კუნძულზე ახლაც
არის უმეტესად, რომლის მეზობლად არის ათასზე
მეტეი ცხელი წყარო. ტალახის შადრევანი, ჰეიზერი
და ცხელი ტბა ერთ-ერთი ასეთი ტბაა ტაუპო, საი-
დანაც გამომდინარეობს მქუხარე მდინარე ვაიკატო,
რომლის ნაპირებზე ორთქლის ნისლია გამდგარი,
ვინაიდან აუარებელი წყარო დუღს. ეს ჰეიზერები

ბრწყინავს, ისერის შადრევნებს და ეს წყალი მდი-
ნარისკენ მოდის.

ყველაზე შესანიშნავი ტბაა როტომოგანა. ჰობ-
სტეტერი და მისი თანამგზავრები ავიდნენ კლდოვან
კუნძულზე, რომელიც არის ამ ტბაში, და როდესაც
წამოწვევენ ერთ-ერთი ქოხის იატაკზე, მალე იგრ-
ძნეს, რომ მიწა მათ ქვეშ საშინლად გაცხელდა.
მეორე დღეს ეს მეცნიერი კართოფილსა და ხორცს
ხარშავდა იმ ორთქლზე, რომელიც მიწიდან ამო-
დიოდა.

ყველა ზემოაღნიშნული ჰეიზერზე უკეთესია
იელსტონის ეროვნული ბალის ჰეიზერები (ჩრდი-
ლო ამერიკაშია). ეს მართლაც ბუნების სასწაულია.
ინდოელები ხშირად ამბობდნენ ხოლმე, რომ იელსტონ-
ში არის უცნაური შადრევნები და გაქვავებული ხეები
მაგრამ მათი არ სჯეროდათ, ხოლო 1863 წელს
ერთი ინგლისელი წავიდა იქ მდინების აღმოსაჩენად და
უღრან ტყეში ნახა აუარებელი ცხელი წყარო და
ჰეიზერი. ხეებს ფოთლები არა აქვთ და ტოტები გაქვა-
ვებული ჰგონია კაცს. ეროვნულ ბაღში 84 ჰეიზე-
რია. აქ მიმდინარეობს **ცეცხლის მდინარე**, რომ-
მლის ნაპირებზე თვალწარმტაცად ჩამოვივებულან
ჰეიზერები. შესანიშნავი სანახევია ეს მხარე! წყლის
უზარმაზარი შადრევანი ათასფრად ლივლივობს მზის
სხივებზე და ხან 60 მეტრის სიმაღლეზე ავარდება,
ხან შხუილით ჩავა ისე ჰეიზერის ყელში, რომ
კოტა ხნის შემდეგ ისევ ამოხეთქოს. დედამიწის
ზურგზე არსად არ არის ასეთი თვალწარმტაცი
კუთხე, „სასწაულთა ქვეყანა“; ამიტომ იქ აუარებე-
ლი ხალხი მიდის, რომ დასტკბეს ჰეიზერების, ცხელი
წყაროების და ჩანჩქერების ცქერით.

როგორც ვხედავთ, ჰეიზერები დედამიწის ზურგ-
ზე მხოლოდ ზოგან გვხვდება და ფრიალ საინტერე-
სონიც არიან. ისინი მოწმობენ, რომ დედამიწის
შუაგული ჯერ კიდევ გავარვარებულ სითხეს წარმო-
ადგენს. ჰეიზერები, როგორც ვულკანები, ხელს უწყ-
ობენ დედამიწის თანდანობით გაცივებას. უძველესი
ჰეიზერებია იელსტონში, ვინაიდან იქ ვულკანები
უკვე ჩამქარალია და ტალახის ვულკანებად და ჰეი-
ზერებად არის ქცეული, უფრო ახალგაზრდებია ის-
ლანდიის ჰეიზერები, სადაც დღესაც აუარებელი მო-
ქმედი ვულკანია. ჩვენი დედამიწა, როგორც ყველა-
ფერი ბუნებაში, ნელ-ნელა იცვლება, და მას ყვე-
ლაზე მეტად სცვლის ცეცხლი და წყალი.

პიონერების მარში.

მუსიკა: გ. კოკელაძის.

სიტყ.: მ. მაწაშვილის.


tempo di marziale

mf ხოვ. ში და - ხა - ზდუ-ლი მთ - ვლი-ვახი თა - და - ზადა

mf tempo di marziale



ბუ - ბუ - ნებლ მუ - . . . დვა. ხი მუ დვა - ხი ზდა.



და - ჰვა - ხიი ზა - ხა - ზანს და - ჰვა - ხიი ზახს! ზა - ხა - ზანს



და - ჰვა - ხიი ზა - ხა - ზანს და - ჰვა - ხიი ზახს.



გენინელების უმცროსი, ძმები ვართ
მიზანი (მიზანი) ვხა, დაჰკარით და სხვ...

ბრძოლისათვის ვიქნებით (ვიქნებით) მზათ, დაჰკა და სხვ...
მოვდივართ სიმღერით, მოვდივართ თანაბრად

გამოდის 1928 წ. გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

→ უ უ რ ნ ა ლ ი ←

მთავარი რედაქციის

პიონერი

წამბოვარი III

უურნალი ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

დენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და საშემსრულებლოების გადგებულ ბაზა გამოიწერონ

— პიონერი —

მიიღება ხელმოწერა 1929 წლისათვის.

უურნალი ღირს გადაგზავნით.

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კან.

სალკა ნომერი — 25 კან.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეტროს სართული). „პიონერი“-ს და „კომსოზრკული“-ს რედაქცია.

კამათორი — სარკდასიო კოლეგია.